სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნინოშვილი

● №2 (4618) ● 31 მარტი ● 2024 წელი ● saxgani@gmail.com ● ფასი 2.00 ლარი

ნომრის სტუმარია 106-ე საჯარო სკოლა

რა გავაკეთეთ პირველ სემესტრში — რა იქნება მეორეში

თბილისის 106-ე საჯარო სკოლამ, 2023-2024 სასწავლო წელი, ტრადიციულად, წარმატებულად და საამაყოდ დაასრულა:

მრავალფეროვანი საახალწლო ღონისძიებები გაიმართა სკოლის სააქტო დარბაზში, სკოლის ხელნძღვანელი, ბატონი **თენგიზ გულორდავა** სიამაყით ულოცავდა 1800-მდე მოსწავლესა და მათ მშობლებს, 2023-24 სასწავლო წლის დასრულებას. კიდევ უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო და საამაყო სასკოლო დღეები უსურვა თავის გუნდს. ბოლო შვიდი წელია, რაც სკოლა უწყვეტ წარმატებულ და ნაყოფიერ მუშაობის ხანას გადის. ბოლო 7 წელია, რაც სკოლა 7 პარალელურ პირველ კლასს ხსნის. მრავალფეროვანი სასწავლო გარემო, რომელსაც ქმნის მაღალკვალიფიციური პედგოგთა გუნდი სკოლის ხელმძღვანელთან ერთად, მშობელთა ნდობას იმსხურებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლა, თავის რეგიონში, ძალიან მოთხოვნადი გახდა და გაითქვა სახელი.

2023-2024 სასწავლო წლის ბოლო სემესტრში, სკოლის ხელმძღვანელმა, ბატონმა **თენგიზ გულორდავამ,** საზეიმოდ დააჯილდოვა სკოლის ღვაწლმოსილი მასწავლებელი, **ჟუჟუნა ხურციძე** და გადასცა „მასწავლებლის სახლის მიერ მინიჭებული - **„დამსახურებული მასწავლებლის”** მედალი და დიპლომი. სკოლის ხელმძღვანელმა, ასევე საჯაროდ მიულოცა სტატუსის ცვლილება სკოლის მასწავლებლებს: **ქეთევან მიქაძეს** - მენტორი; **ჟანა ხრლაშვილს**-წამყვანი, **მაკა ბაჩანაძეს** - წამყვანი, **თამთა ქვაჭრელიშვილს** - წამყვანი; **მაიკო გურასაშვილს** - წამყვანი, **მაოა ზაალიშვილს**- წამყვანი, **თამუნა ზირაქაშვილს** - წამყვანი; **თეკლა ჯაფოშვილს** -უფროსი; **ნინო მინაშვილს** - უფროსი; **ნონა ღვინიაშვილს** - უფროსი; **ნატა მუშკუდიანს** - უფროსი. უსურვა კიდევ მეტი წარმატება პროფესიულ საქმიანობაში, აღნიშნა, რომ თითოეული მათგანის წარმატება 106-ე სკოლის ძლიერ გუნდს უფრო გააძლიერებს!

სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს საკლუბო სამუშაოები, მათ შორისაა ეკო კლუბები, საბაზისო საფეხურზე „გარემოზე მზრუნველები” და დაწყებით საფეხურზე „მწვანე მცველები”. ეკო კლუბის მონაწილე მოსწავლეები არაერთ საინტერესო და მნიშვნელოვან აქტივობას ახორციელებენ გარემოსდაცვით საკითხებზე. მათი საქმიანობა ემყარება მდგრადი განვითარების მიზნებს. ეკოკლუბის სამუშაო შეხვედრებზე გაცნობილ ინფორმაციებს და დაგეგმილ აქტივობებს ფართოდ უზიარებენ სსასკოლო საზოგადოებასა და თემს.

ჩვენი სკოლა გახდა ენერგოეფექტური. ეკოკლუბი „გარემოზე მზრუნველები”-ს ინიციატივით, კონკურსის ,,გახადე შენი სკოლა ენერგოეფექტური”-ს ფარგლებში სსიპ ზურაბ იარაჯულის სახელობის თბილისის 106-ე საჯარო სკოლაში მზის ენერგიაზე მომუშავე განათებები დამონტაჟდა, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ეკოკლუბის მოსწავლეები ,,გარემოზე მზრუნველები”. პროექტი განხორციელდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ევროკავშირისა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის -KFW მხარდაჭერით, კომპანია-GOPA intec-თან, CENN- თან და კომპანია „ადამს ჰოლდინგთან” თანამშრომლობით.

პროექტში „გახადე შენი სკოლა ენერგოეფექტური” მონაწილეობამ „გარემოზე მზრუნველებს” შესაძლებლობა მისცა, 1000 ევრო გრანტით, შეეძინათ მზის პანელები და ეფექტურად გამოეყენებინათ ბუნებრივი ენერგია. ოთხთვიანი კამპანიის განმავლობაში, იმუშავეს მდგრადი განვითარების N7 მიზანზე „ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია” რამაც ხელი შეუწყო სკოლაში ენერგოეფექტურობის წახალისებას, ცნობიერების ამაღლებასა და ქცევის ცვლილებას.

კლუბის ხელმძღვანელი **ქეთევან მიქაძე**, გუნდის წევრ მასწავლებლებთან - **მაია ზაალიშვილსა** და **ნინო ქეშელაშვილთან** ერთად, აქტიურად განაგრძობენ მსგავს გარემოსდაცვით კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას.

ეკო კლუბი „მწვანე მცველები” მონაწილეობას ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის კონკურსში. აქტიურად ახორციელებენ მრავალფეროვან აქტივობებს და ამაღლებენ საზოგადოების ცნობიერებას გარემოსდაცვით სკითხებზე. აღსანიშნავია, რომ ეკოკლუბელები თანამშრომლობენ გრემოდაცვით კომპანია „მაკულიტერტურასთან”. მათი თანამშრომლობით, სკოლაში დაიდგა მწვანე ყუთები, სადაც გროვდება გამოყენებული ქაღლდი, ე.წ. მაკულატრ. შეგროვებული ქაღალდი იცვლება სასურველ წიგნებში,რსაც ეკოკლუბელები სკოლის ბიბლიოთეკას სჩუქნიან რათა სკოლის ნებისმიერ მოსწავლეს ჰქონდეს მათზე წვდომა.

სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება. მაგალითდ, ქიმიის მასწავლებელი ჟუჟნა ხურციძე, მრავალფეროვანი აქტივობებით ცდილობს ბავშვებს შეაყვაროს ქიმიის საგანი. ბოლოო პერიოდში, მან მერვე კლასის მოსწავლეებთან განახორციელა გავეთილი საკლასო ოთახისგან გასხვავებულ სივრცეში, სკოლის ბაღში და ბავშვებს საიტერესო აქტივობებით გააცნო თემა ვალენტობა.

აღსანიშნავია, რომ სკოლის დაწყებითი საფეხურის, კერძოდ, მე-3 და მე-4 კლასის მოსწავლეები, აქტიურად არიან ჩართულნი ევერესტის ოლიმპიადაში. ბევრი მათგანი დაჯილდოვდა ვერცხლის, ბრინჯაოსა და ოქროს სიგელებით.

აღსანიშნავია, რომ 106-ე სკოლას ჰყავს ფეხბურთის გუნდი, რომლებმაც არაერთი გამარჯვება მოიპოვეს მინიფეხბურთში, მათ შორის თბილისის სასკოლო ლიგის ჩემპიონატში და წინ წარმატებით მიიწევენ. გუნდის მწვრთნელი და სკოლის სპორტის მასწავლებელი ბადრი ფიფია, გუნდს დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებს.

როგორც ცნობილია, საქართველოში 7 თებერვალს წიგნის საჯაროდ კითხვს დღე აღინიშნა. ასმეექვსე სკოლაც შეუერთდა ამ დღის აღნიშვნას საინტერესო აქტივობებით. მათ შორის, სკოლის მეოთხეკლასელთა 7 პარალელური ჯგუფის მოსწავლეებმა, ერთობლივი აქტივობით წარმოადგინეს ერთგვარი „ფლეშმობი” და კიდევ ერთხელ, შეახსენეს საზოგადებას, თუ რა მნიშვნელოვანია წიგნის კითხვა.

აღსანიშნავია სკოლის ხელოვნების პედაგოგის, ხათუნა რობაქიძის აქტიური თანამშრომლობა მოსწავლეებთან. მისი ორგანიზებით, მოსწავლეებმა მოინახულეს თბილისის მასშტაბით მუზეუმები, სამხატვრო აკადემია, თბილისის მნიშველოვანი ტაძრები და სხვა ხუროთმოძღვრული ძეგლები. ესტუმრნენ დადიანების სასახლეს, სადაც ამჟამად პრეზიდენტის რეზიდენციაა განთავსებული. ხელონების გაკვეთილებზე მღებული ცოდნა, გასვლითი, არაფორმალური განათლების ელემენტებით, მოსწავლეებში მნიშვნელოვან სარგებელს ტოვებს.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მოსწავლეებით. სკოლის წარმატება, აღიარება, მუშაობის ხარისხი და არსებობის საჭიროება სწორედ რომ მოსწავლის წარმატებებით და მიღწეული შედეგებით დასტურდება.

ინა მეცხვარიშვილი,
სკოლის პედაგოგი და ჟურნალისტი

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

გოგლა ლეონიძე

გაზაფხული

რომელ მერანზე მოფრინდი,
რომელ მქროლავი რაშითა?
“ლილეოს” ქუხილთა ხმებში,
ნიაღვარების ტაშითა!

ვინ თქვა, სინაზით მოხვალ,
ენძელებით და იითა?
სადაც მწვანე ფრთას დაიქნევ,
ვაჟკაცურ ძგერას მიიტან!

სალამი, ასჯერ სალამი!
შენ, გაზაფხულის დგრიალო!
ყინულს დალეწავ, ხმატკბილად
წყარომ რომ დაიწკრიალოს...

მე გულს დავლეწავ, ნაკვესარ
ლექსმა რომ დაიძგრიალოს!
შორიდან გეხარხარები:
მოდი, სულ ერთად ვიაროთ!

ლეილა ვადაჭკორია

მოიმღერის გაზაფხული

მერცხლის გუნდი მოფრინდა,
მოფრენილა წეროც და
ყინულს ფეხი დაუცდა
სახურავის წვეროდან.
ჟრიამული მოისმის
მინდვრებიდფან, მდელოდან:
– გაზაფხულო, ენძელა იცი,
როგორ გელოდა?
ჩითის კაბა ჩაიცვა
თვალჟუჟუნა იამა
ქარი ჩადგა, ყვავილებს
გაუღიმა ნიავმა.
ჩაიარა ზამთარმა
ჭირხლით, თოვლით, ყინვითა.
ზამთრის დღეებს ბებიკო
სულ თითებზე ითვლიდა.

ლეგენდებში შემონახული წარსული

„ნათელ გვირგვინით მოსჩანან
კახეთის მხსნელი გმირები...”
გრიგოლ ორბელიანი

„რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლისღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით. შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლენგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით. მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომს, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველებისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ...” - ჩაგვესმის სულმნათი ილია ჭავჭავაძის ცრემლნარევი კალმით გამოძერწილი სტრიქონების ექო.

სკოლა **„ივერონის“** მე - 6 კლასის მოსწავლეებმა მოიძიეს დამატებითი ინფორმაცია ისტორიის სახელმძღვანელოდან, ენციკლოპედიიდან, ინტერნეტიდან, თემაზე: „1659 წლის კახეთის აჯანყება” და საპრეზენტაციოდ წარმოადგინეს.

მოსწავლეებმა სიღრმისეულად შეისწავლეს კახეთის 1659 წლის აჯანყების გამომწვევი მიზეზები, იმსჯელეს ეპოქაზე, ირანის შაჰის მიზნებზე, აჯანყების მეთაურებზე. გამოკვეთეს თუშ-ფშავ-ხევსურთა ერთიანი ძალისხმევის შედეგად კახეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლის შედეგი.

გთავაზობთ ცალკეულ მოსწავლეთა მიერ ფოტომასალებითა და ნარკვევებით დამზადებული გაზეთებიდან ამონარიდებს:

გიორგი ვაშაკიძე: მე-17 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მეტად მძიმე ვითარებით აისახა. ისტორიის სახელმძღვანელოდან ნაწყვეტი გვაუწყებს, რომ მე-17 საუკუნეში საქართველოში შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად კახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი განადგურდა. შაჰმა ირანში გადაასახლა დატყვევებული კახელები.

სპარსი ისტორიკოსის, **ისკანდერ მუნშის** ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ „ქართველი მოსახლეობიდან იმ მხარეში აღარავინ დარჩა. რადგანაც ხსენებულ საქართველოს ჩრდილოეთის მხრით დაღესტანი ეკვრის, დაღესტნის



გიორგი ვაშაკიძე

ხალხი მუდამ ჩამოდიოდა იქ საყაჩაღოდ და ტყვეები მიჰყავდათ.

კახეთის დასახლების მიზნით შაჰ-აბასმა მომთაბარე ტომები ჩამოასახლა, რათა დასახლებულიყვნენ და მიწათმოქმედებას შესდგომოდნენ. მახვილს გადარჩენილ ქართველებს შაჰმა უვნებლობა და უსაფრთხოება აღუთქვა და მორჩილებაზე წაახალისა.



გეგა ბურჯალიანი

გეგა ბურჯალიანი: ალვანი, სადაც ახლა თუშები ცხოვრობენ, ადრე თათრებს ეჭირათ. მათ გამაგრებული ჰქონდათ ორი ციხე: ბახტრიონისა და ალავერდის. კახეთს მეფე ლევანი შილდაში ცხოვრობდა. ის წუხდა ალავნში გაბატონებული თათრების გამო. აჯანყების მიზეზი გახდა პურის საყიდლად თუშეთიდან ალვანში ჩამოსული თუშის თათრების მირ შეპყრობა და შეურაცხჰყოფა. თუშებმა სალაშქროდ იხმეს ფშავ-ხევსურები. მეფე ლევანს სთხოვეს დახმარება, თუმცა მეფემ მტრის ურიცხვი ჯარის გამო თავი შეიკავა: „მეფე ვარ და ცოდვაში ვერ ჩავდგებიო”. თუშ-ფშავ-ხევსურებმა კი ცოდვის ტვირთი თავიანთ თავზე აიღეს, მეფე წინამძღოლობაზე დაითანხმეს, გეგმაც შეიმუშავეს და თათრები შეუბრალებლად გაწყვიტეს ბახტრიონისა და ალავერდის ციხეებში. იმ ადგილს, სადაც თათრები ამოწყვიტეს თუშები ახლაც „გაწყვეტილას” ეძახიან.

ანა დუმბაძე

ანა დუმბაძე: ბახტრიონის ციხე ფეოდალური ხანის ციხესიმაგრეა. ციხე აგებული უნდა იყოს მე-17 საუკუნის 50 - იანი წლების ბოლოს, ირანის შაჰის აბას II -ის ბრძანებით. ციხე ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იყო კახეთში სპარსელთა ბატონობის განსამტკიცებლად. სახელი ეწოდა აქ მდებარე სოფელ ბახტრიონის მიხედვით. სახელწოდება კი ბახტარაშვილების გვარიდან უნდა მომდინარეობდეს. კახეთის აჯანყების მთავარი ბრძოლა ამ ციხესთან მოხდა. აჯანყებულებმა დაანგრიეს ციხე და მას შემდეგ იგი აღარ აღუდგენიათ.

იმ გორაკს, რომელზედაც ბახტრიონის ციხე იდგა, მოსახლეობა დღესაც ,,ბახტრიონის გორას უწოდებს”.

კახეთის აჯანყების 300 წლისთავთან დაკავშირებით აქ აღიმართა ობელისკი.

დიმიტრი სირბილაძე: ლეგენდაში „ბახტრიონის აღება” ვეცნობით ისტორიულ პერსონაჟს ზეზვა გაფრინდაულს. ვინ იყო ის? რა უკავშირდება მის სახელს? ვაჟა-ფშაველას ცნობით ზეზვა მოიხსენიება თუშთა ბელადად. ზოგადად, ბახტრიონის პერსონაჟთა რიცხვი მცირეა,- გამორჩეული კი ზეზვა გაფრინდაულია - ბახტრიონის აჯანყების ცნობილი ისტორიული და ფოლკლორული გმირი. ზეზვა „ბახტრიონის” ისტორიის კარიბჭეა, საუკეთესო ვაჟკაცი. მას მთელი ცხოვრება ბრძოლაში გაუტარებია. ზეზვას მტრისადმი დაუნდობლობა განასხვავებს ბახტრიონის

დიმიტრი სირბილაძე

გმირებისაგან. ვაჟა-ფშაველა თაყვანს სცემას ზეზვასთანა გმირებს:

„თუ გაზრდის ფურმა გაზარდოს ე ამისთანა ხარია!”

ლუკა გახოკია

ლუკა გახოკია: ნაოხარმა ქვეყანამ ,,დააჯავრა” თუშნი. საბრძოლველად გამზადებულ თუშებს წინ მიუძღოდა „ზეზვაი საოცარია”. ბარი კი იმ დღეს ,,მთასა ჰლოცავდა”. მთისა და ბარის ერთიანობა ძალას მატებდა იავარქმნილ ქვეყანას: ,,სუყველამ ტანზე აისხა აბჯარი საომარია”.

ხუთშაბათი დილის გათენებას სისხლის ნიაღვარი მოჰყვა. თათრის შვილებს ბახტრიონის ციხეში „დღე გაუთენდათ მწარეა”. შებინდებისას კი ,,გადმოდგა ბორბალოზედა თავისუფლების მთვარეა”.

მარიამ გოგბრონიძე: ორი ალაზნის აუზშია მოქცეული თუშეთი. გომეწრის ხეობაში მდებარეობს სოფელი ვაკისი. ამ სოფლიდან იყო ლეგენდარული გმირი ზეზვა გაფრინდაული. ზეზვა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო ახმეტის ბატონ ბიძინა ჩოლოყაშვილსა და ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავებთან ერთად. ზეზვას საგმირო საქმეებზე არაერთი ლექსია შემონახული. გადმოცემით ვიცით, რომ გაფრინდაული მისი გვარი არ ყოფილა. ამბობდნენ, ზეზვას ცხენი გუმანით ხვდებოდა სად იყო მტერი და ფრენით მიჰყავდა იქ მხედარიო. ამის გამო ხალხმა მას გაფრინდაული შეარქვა.



მარიამ გოგბრონიძე

გიორგი მირზელაშვილი: სიყრმიდან მოყოლებული ზეზვას ხმალი ქარქაშში არ ჩაგებულა. ბახტრიონის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს თუშებმა ზეზვას მეთაურობით. ქართველებს თითქმის არავინ გაუშვიათ ცოცხალი. მტრის სისხლით შეღებეს ალაზანი.

ალავერდის ტაძრის კარი კვლავ გაიღო ქრისტიანებისათვის. ერთგულებისა და სიმამაცისათვის თუშებმა ზეზვას წყალობით ის ადგილი დაიკანონეს ალაზნის ველზე, რომელიც მეფე ლევანს ერთი საუკუნით ადრე ებოძებინა.

ხალხური გადმოცემით

გიორგი მირზელაშვილი

ვიგებთ, რომ ზეზვა მოტყუებით შეიპყრეს შაჰის ემისრებმა და ირანში წაიყვანეს. ამის შემდეგ ამ უმამაცესი მეომრის შესახებ არაფერია ცნობილი.

ნიკა ახალგედაშვილი: ისტორიულად ცნობილია, რომ სპარსელთა ბატონობისას კახეთს, საქართველოს ამ ,,ბიბლიურ საწნახელს” წალეკვა ემუქრებოდა. კახეთის აჯანყებამ შედეგი გამოიღო. მოსახლეობა გადაურჩა გადაშენებას. აჯანყების მეთაურები - შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი, მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით ყარაჯაღის ხელისუფლებას ჩაჰბარდნენ. სპარსელებმა ისინი კახეთში ამოწყვეტილი ელების ნათესავებს გადასცეს. ცნობილია სისასტიკე, რომელიც ელებმა დასასჯელთა

გაგრძელება მე-3 გვ.

კერძო სკოლა „ივერონში"

მეორე გვერდიდან

ნიკა ახალბედაშვილი

საბა კენჭაძე

ნიკოლოზ მთიულიშვილი

ნიკოლოზ გაბლაია

მარიამ ბერაძე

მიმართ გამოიჩინეს. ახოვან ელიზბარ ერისთავს მოდრეკა რომ ვერ მოუხერხეს ფეხებში ხმალი შემოჰკრეს და თავი ძარღვებდაჭრილსა და წაქცეულს მოჰკვეთეს. ბიძინა ჩოლოყაშვილი ასო-ასოდ დაჭრეს... სარწმუნოების შეცვლას სთხოვდნენ, სურდათ გატეხილი ეხილათ.

მემატიანე წერს, რომ ბოლომდე კიდურებდაჭრილ სხეულში ბიძინას გულის ფეთქვა არ შეწყდა. გამწარებულმა ელებმა უკანასკნელი მახვილი სწორეს გულს ჩასცეს...

საბა კენჭაძე: ელიზბარ ქსნის ერისთავი – კახეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური, აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ირანის შაჰმა დასასჯელად თურქმანულ ტომებს გადასცა, რომლებმაც იგი წამებით მოკლეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ელიზბარ ქსნის ერისთავი ჩამოასვენეს და იკორთაში, ერისთავების საგვარეულო მონასტერში დაკრძალეს.

ქართულმა ეკლესიამ ელიზბარ - ქსნის ერისთავი, ისევე, როგორც აჯანყების სხვა წამებული გმირები, წმინდანებად შერაცხა.

ნიკოლოზ მთიულიშვილი: შალვა ქსნის ერისთვი კახეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური გახლდათ. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ქვეყნისთვის მტრის ახალი შემოსვლა რომ აეცილებინა ბიძინა ჩოლოყაშვილთან და ელიზბარ ერისთავის შვილთან ერთად სპარსეთის შაჰს ეახლა. შაჰმა ისინი განჯის ხანს გადასცა. განჯის ხანმა კი იმ თურქმენულ ტომებს, რომლებიც კახეთის აჯანყების დროს ამოწყვიტეს. ქართველი გმირები წამებით დახოცეს. ქართულმა ეკელესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა.

შალვა ქსნის ერისთავი დაკრძალულია ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – იკორთის მონასტერში.

ნიკოლოზ გაბლაია: ბახტრიონის ბრძოლა ირანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ კახეთის აჯანყების გმირული ეპიზოდია. აჯანყების ერთ-ერთი მეთაური გახლდათ ზაალ არაგვის ერისთავი. მის ვაჟ ზურაბთან შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებთან და ბიძინა ჩოლოყაშვილთან ერთად. კახელების გარდა ამ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს თუშებმა, ფშავლებმა და ხევსურებმა. ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში მცირე ცნობებია შემონახული ამ ბრძოლის შესახებ. ზეპირსიტყვიერებაში კი – მდიდარი.

კახეთის ბრძოლას ვაჟა-ფშაველამ მიუძღვნა პოემა „ბახტრიონი", აკაკი წერეთელმა - ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი", რეჟისორმა ლეო ესაკიამ კი გადაიღო მხატვრული ფილმი „ბაში-აჩუკი".

მარიამ ბერაძე: სულის სიღრმემდე შემძრა 1659 წლის კახეთის აჯანყების მეთაურის სიტყვებმა: „ეროვნულ ხეს გასამაგრებლად და ფესვების გასადგმელად წმინდა მოწამეობრივი სისხლიც ეჭირვება".

ასეთი გმირები რომ არ ჰყოლოდა ჩემს პატარა საქართველოს, ვერ გაუმკლავდებოდა „რჯულიანსა და ურჯულო" მტერს!

...

მოსწავლეებმა პრეზენტაციის დასკვნით ნაწილში იმსჯელეს რეჟისორ ლეო ისაკიას მიერ 1956 წელს გადაღებული „ბაში-აჩუკის" კინოვერსიასა და მათ მიერ მხატვრულ ტექსტებში შესწავლილ ისტორიულ ფაქტებზე, მსგავსება-განსხვავებაზე. ფილმი ახალგაზრდებისათვის იქცა გმირობის, ვაჟკაცობის, თავდადების, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულის ნათელ მაგალითად.

კლასის შემოქმედებით წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სკოლა ,,ივერონის" დირექციას. პრეზენტაციას ესწრებოდა სკოლის სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი ქეთევან ჩიქოვანი.

თინა ჩხეიძე,
სკოლა „ივერონის" ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ზურაბ ქობალია - 65

იუბილე და ახალი წიგნის პრეზენტაცია



„გენიოსა გინესა" – ასე ეწოდება საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, გამომცემლობა **„ზენაარის"** ხელმძღვანელის, გაზეთ **„სახალხო განათლება+"-** ის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის **ზურაბ ქობალიას** ახალ წიგნს, რომლის პრეზენტაცია, ავტორის იუბილეზე, მწერალთა სახლში შედგა და რომელსაც მწერლები, პოეტები, ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საღამოზე შეკრებილმა საზოგადოებამ ვრცლად ისაუბრა ზურაბ ქობალიას ჟურნალისტურ თუ სარედაქციო საქმიანობაზე, მის შემოქმედებაზე, პოეზიასა და პროზაზე. ითქვა, რომ ავტორის ახალი კრებული **„გენიოსა გინესა",** სერიოზული მხატვრული ნამუშევარია და, უდაოდ, დააინტერესებს ლიტერატურის მოყვარულთ. მოთხრობები ძირითადად, პუბლიცისტურ ელემენტებს მოიცავს და რეალურ ისტორიებზეა დაფუძნებული, რაც ბუნებრივია ჟურნალისტის პროფესიული სტილია. პოეზიასთან წილნაყარი ავტორის პროზაულ ჟანრში წარმოჩენა, ნამდვილად სიურპრიზი იყო და კოლეგების დიდი მოწონება დაიმსახურა. წიგნი რვა პროზაულ ნაწარმოებს მოიცავს და მისი რედაქტორია **ჯემალ დავლიანიძე**, ხოლო რეცენზენტი სერგი საჯაია.

ზურაბ ქობალიას ჟურნალისტური საქმიანობა მრავალ წელს ითვლის. იგი გახლდათ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის და ჟურნალ-გაზეთების გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარე. დამსახურებულ ჟურნალისტს ბევრი სასიამოვნო ამბავიც ახსოვს და გულისტკენაც, მაგალითად, გამომცემლობა **„სამშობლოს"** დაკარგვასთან დაკავშირებით. სწორედ, ამ უკანასკნელზე და სხვა მრავალ ისტორიაზე მოგვითხრობს ახალ წიგნი **„გენიოსა გინესა".**

გამომცემლობა **„სამშობლოს"** შენობიდან, რომელსაც ჩვენს სამფლობელოდ მივიჩნევდით, ისე კინწისკვრით გამოგვყარეს, ბოდიშიც არავინ მოგვიხადა, რა თქმა უნდა, არც მადლობა გადაუხდია ვინმეს, რამდენიმე წლის დაუღალავი ქანცგაწყვეტამდე ღამისთევებისა და თითქმის, უანგარო შრომისათვის"– წერს ავტორი და გულისტკივილით აღნიშნავს, **„სამშობლოს"** მკვიდრი რედაქციების მიმოფანტვის ისტორიას. რეალურ სინამდვილეზე დაყრდნობილი მოთხრობები, ცივი ქრონიკის მიღმა ამბებსაც მოიცავს და წიგნი ერთი ამოსუნთქვით იკითხება. საკმაოდ სხარტი და ბუნებრივია მწერლის თხრობის მანერა.

„რაც გამახსენდება იმას მოგიყვებით, მეხსიერება ხომ მწერლისთვის აუცილებელი მახასიათებელი ნიშან-თვისებაა. თუ მეხსიერება მიღალატებს, კალამსაც უნდა შევუშვა ხელი. მე კი მხოლოდ ახლახან ავიღე



იგი, როდესაც მივხვდი, რომ ბევრი რამ დამიგროვდა სათქმელ-საწერი"- ამბობს ავტორი და მკითხველებს კიდევ ახალი პროზაული ნაწარმოებების წარდგინებას ჰპირდება.

მისასალმებელია, რომ ქართულ პროზას **ზურაბ ქობალიას** სახით ღირსეული მოკალმე და პროზაიკოსი შეემატა.

გაზეთი **„სახალხო განათლება+"** ულოცავს ზურაბ ქობალიას 65 წლის იუბილეს და დიდ სამწერლო ასპარეზზე წარმატებებს უსურვებს.

მზია გოგოძე

158-ე ბაგა-ბაღში

სასიამოვნო განწყობა ეზოდანაც იგრძნობა

პატარებისთვის შესანიშნავი გარემოა შექმნილი თბილისის 158-ე ბაგა-ბაღში, რომელიც საბურთალოზე ალ. ყაზბეგის გამზირზე მდებარეობს. ეს არასტანდარტული, კოპწია შენობა კეთილმოწყობილია და ყველა პირობაა შექმნილი, აღსაზრდელებმა თავი მშობლიურ გარემოში რომ იგრძნონ. ბაგა-ბაღში სულ ოთხი ჯგუფია.

გიული გორგოძე, დირექტორი: ჩვენი სასიამოვნო გუნება-განწყობა ბაღის ეზოდან იწყება. აქ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის იზრუნა თბილისის მერიამ, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხემძღვანელობამ და სამშენებლო კომპანია შპს. „დუბექსის“ თანამშრომლებმა. სწორედ მათი ხელშეწყობით, მოეწყო რბილი მოედანი, განახლდა ასფალტი, გარე განათება, დამონტაჟდა სპორტული

დანადგარები, საქანელები; ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის გაკეთდა ფანჩატური, მხიარული აქტივობებისთვის კი – ეზოში გამოიყო სპეციალური მოედანი. განახლებული ეზო იმდენად გაითავისეს

პატარებმა, რომ საღამოს სახლში წასვლაც ეძნელებათ, რადგან ეს სივრცე მათთვის ერთ-ერთი სათამაშო ცენტრი გახდა. ჩვენი აღსაზრდელების, მშობლებისა და ბაღის ყველა თანამშრომლის სახელით დიდ მადლობას ვუხდით დედაქალაქის მერიას და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელშეწყობისა და სრული მხარდაჭერისათვის.

158-ე ბაგა-ბაღის მთელი კოლექტივი დიდი ენთუზიაზმით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, რომელიც გამოიხატება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების სრულფასოვნად განხორციელებაში.

საბავშვო ბაღი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით. დირექტორს მხარში უდგას შესანიშნავი კოლექტივი. ესენია: დირექტორის მოადგილე **ნინო ხვედელიანი.** საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი **ნათელა ჭიღლაძე,** ჯანდაცვის და ჰიგიენის კოორდინატორი **ლამზირა ლოლაძე**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ლალი ზენაიშვილი**. საქმისმწარმოებლები – **ნათია კვიტაიშვილი** და **ნატო შიოშვილი**. პროფესიონალი აღმზრდელები და მათი თანაშემწეები, მულტიდისციპლინალური გუნდი, მუსიკის პედაგოგი და ქორეოგრაფი, ტექნიკური პერსონალი და კვების ბლოკის თანამშრომლები.

გიული გორგოძე: ეხლა გაზაფხულია, ბუნების გამოღვიძების პერიოდი. მარტი ლამაზი დღესასწაულებით გვანებივრებს და რა უნდა იყოს უფრო მშვენიერი და სამახსოვრო თუ არა, დედის დღე. ჩვენი აღსაზრდელები განსაკუთრებული სიყვარულით და სიხარულით ელიან დედისადმი მიძღვნილ აქტივობებს. პატარებმა, დედიკოებს საკუთარი ხელით მოუმზადეს ყვავილებით მორთული, საზაფხულო და სამახსოვრო ბარათები. ჩვენ ვცდილობთ ყოველი დღე – დღესასწაულად ვუქციოთ პატარებს და ულევი სითბო თუ სიყვარული ვუწილადოთ.

საბავშვო ბაღში, ყოველწლიურად იმართება სეზონური ზეიმები და შემოქმედებითი ღონისძიებები. 21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, უფროსი ასაკის ჯგუფებში გაიმართა სხვადასხვა აქტივობა და 2 აპრილისთვის კი, იგეგმება აუტიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ბაგა-ბაღში ტრადიციულად აღინიშნება დედაენისა და დედამიწის დღეები. აღსაზრდელები აქტიურად არიან ჩართულნი აღნიშნულ პროცესში და უფროსებთან ერთად რგავენ მცენარეებს; იმართება თემატური აქტივობები: ნაგვის სეპარაციის, ბიო მრავალფეროვნებისა და ენერგო დამზოგველობის შესახებ. ბაგა-ბაღში ბევრი საინტერესო თემატური აქტივობაა დაგეგმილი, რომელიც მაისისა და ივნისის დასაწყისში აღინიშნება.

სასიამოვნო ფაქტია, რომ 158-ე ბაგა-ბაღის მაღალკვალიფიციური პედკოლექტივი მოწოდებულია, პირნათლად შეასრულოს მომავალი თაობის სასწავლო-სააღმზდელო პროგრამით გათვალისწინებული თემატური მოთხოვნები. ამიტომაც, ეს საბავშვო დაწესებულება მუდამ მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული.

ანანო სამელია

მე-60 სკოლელები მტკიცედ მიაბიჯებენ

ცოდნით და გამოცდილებით

ყველა სიახლეს ფეხი ყოჩაღად აუწყვეს. ბედნიერეია სკოლა, რომელსაც ძლიერი პედკოლექტივი და გამობრძმედილი დირექტორი ჰყავს.

შოთა მალაზონია წლების მანძილზე ნიჭიერად უძღვებოდა **მე-60 სკოლას**. აქ კი... ახლახან ისარგებლა არდადაგებით და გამოცდილების გასაზიარებლად იტალიაში გაემგზავრა. ეს კი ყველამ იცის, რას ნიშნავს.

ბატონი შოთა იმ სიბრძნის მიმდევარია, რომელიც მისმა დიდმა სეხნიამ შთააგონა: „ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდან ძმა და თვისი“. მხარში გვიდგას, გვეხმარება 95 წლის მასწავლებელთა გაზეთის რედაქციას. ამისთვის უღრმესი მადლობა მას!

დღეს დიდ დირექტორს მხარს უმშვენებს შემოქმედი მოადგილეები: **ორივე ნანა, ლომთათიძე** და **ჩოხელი,** პროფესიონალი მუშაკები – საქმისმწარმოებელი **მაია თეზელაშვილი,** ბუღალტერი **მათიკო დავითაშვილი** და საინფორმაციო მენეჯერი **თამარ ანდრიაძე.**

...და რაც ყველაზე მთავარია, მისი აღმატებულობა – ძლიერი პედაგოგები.

ყველაფერ ზემოთქმულზე ვიმსჯელებთ სკოლიდან მიღებული ინფორმაციით.

პირველი სემესტრი კარგი იყო, მეორე უკეთესი იქნება

თბილისის მე-60 საჯარო სკოლა არის რეაბილიტირებული. ინფრასტრუქტურა შესანიშნავ მდგომარეობაშია და ამის დასტურია, რომ 2023 წლის 4 დეკემბერს სკოლამ გაიარა ავტორიზაციის პროცესი ყოველგვარი მონიტორინგის გარეშე, რაც სკოლის თანამშრომლების აქტიური და თავდაუზოგავი შრომის შედეგია.

სკოლას ჰყავს 2 მენტორი მასწავლებელი, (ერთ-ერთი გახლავთ დირექტორი შოთა მალაზონია). 66 უფროსი მასწავლებელი, 12 წამყვანი და 1 მასწავლებლობის მაძიებელი.

საბაზო საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის 21 მოსწავლეს პროგრამა **„ჩემი პირველი კომპიუტერის"** ფარგლებში გადაეცათ კომპიუტერები. საშუალო საფეხურის წარმატებით დასრულებისთვის კი 22 მოსწავლეს გადაეცა მედლები, მათგან 15 ოქროს და 7 ვერცხლის.

სკოლაში უკვე ტრადიციად იქცა საინტერესო და მრავალფეროვანი პროექტების განხორციელება. სადაც ჩართულები არიან: სკოლის 8-ვე კათედრა.

სულ დაიგეგმა და განხორციელდა 28 აქტივობა.

2023-2024 სასწავლო წელს სკოლა ახორციელებს ახალ პროექტს „ჯანსაღი ცხოვრების წესი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სიცოცხლის საწინდარია".

პირველ სემესტრში საგნობრივი კვირეულის ფარგლებში მოსწავლეებმა მასწავლებლებთან ერთად ყველა საგანში წარმოადგინეს მართლაც საინტერესო და შემეცნებითი პრეზენტაციები, მოსწავლეების მიერ სხვადასხვა საგნებში შექმნილი პროექტები და ნამუშევრები გამოიფინა სკოლის ფოიეში და დერეფნებში. საბოლოო შეჯამება მოხდა სასკოლო-შემოქმედებით კონფერენციაზე, სადაც წარმოდგენილი იყო ძალიან საინტერესოდ შესრულებული შემოქმედებითი ნამუშევრები. ღონისძიებაში აქტიურად იყო ჩართული თითოეული კლასის თითოეული მოსწავლე.

ბიოლოგიის კლუბი „ბუნების კარი“ აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა საგნებთან ინტეგრირებულ პროექტებს, თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მშობლებთან. აწყობს გამოფენებს, პროექტებს, პრეზენტაციებს, დებატებს, დისკუსიებს, მშობლის საათებს და სხვა. კლუბს ხელმძღვანელობს ბიოლოგიის მასწავლებელი **თამარ მოსეშვილი.**

ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო აქტივობა გახლავთ გაზეთ „ივერიას“ გამოცემა. სკოლის მოსწავლეებმა მოირგეს ისეთი პროფესიები, როგორიცაა: რედაქტორი, ჟურნალისტი, კორექტორი, ლოგოს შემქმნელი გრაფიკოს-დიზაინერი, „ქიუარ-კოდის“ შემქმნელი. გაზეთზე მთლიანად მოსწავლეებმა იმუშავეს, პედაგოგებისგან მათ ჰქონდათ სრული თავისუფლება. ეს გაზეთი შეგიძლიათ იხილოთ თქვენც ინტერნეტში „ქიუარ-კოდის“ საშუალებით.

ხელოვნების მასწავლებლების ხელმძღვანელობით, სკოლის ფოიეში და დერეფნებში სისტემატურად არის გამოფენილი ბავშვების მიერ შესრულებული ნახატები, აპლიკაციები, პროექტები და სხვადასხვა ნამუშევრები სხვადასხვა მნიშვნელოვან თემაზე.

ფეხბურთში ფინალური შეხვედრა მართლაც სასიამოვნო სანახაობა იყო. კმაყოფილები დარჩნენ გულშემატკივრებიც. გამარჯვებული გუნდი გახდა მე-9ბ კლასი. კაპიტანი **საბა გელაშვილი.**

მეორე ადგილი დაიკავა მე-10ა კლასის გუნდმა, რომლის კაპიტანიც გახლავთ **ილია ჯიჯელავა.**

ტურნირის ორგანიზატორი იყო საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგი **ვახტანგ ბაქანიძე.**

ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ, კოლეგებო!

ბორის კინდღელი,
აფხაზეთიდან დევნილი

ღვაწლი და მოღვაწეობა

სხვაგვარად არ ძალუძთ!

ერთ გონიერ კაცს უთქვამს, ცუდად ცოდნას სულაც არცოდნა ჯობსო. ცუდად ცოდნას სხვაგვარად დილეტანტობა ჰქვია. გააპარტახა ქვეყანა დილეტანტობამ და დილეტანტთა, უვიცთა თარეშმა. მიმოვიხედოთ.

ამ მძიმე ფონზე მით უფრო დასაფასებელნი, გამოსარჩევნი და დასაფასებელნი არიან ისინი, ვინც ხოტბის, გამორჩენის გარეშე პატიოსნად, თავჩარგული რუდუნებით მუშაობს იქ, საითაც გული უხმობს, საცა აზრთაგამრიგემ განანესა.

და ნუ ვედრებით ერის ჭეშმარიტად ზეპურ მამებს. მოღვაწეობა ძალზე ფართო და ტევადი ცნებაა. ყველა იმას გულისხმობს, ვინც ალალად ასრულებდა ღვთით დაკისრებულს და ოდითგან ასე რომ ყოფილიყო, ეგებ აღარც დავითს დასჭირვებოდა აღმაშენებლობა, აღარც დემეტრეს – თავდადებულობა, აღარც გიორგის – ბრწყინვალეობა და აღარც ასიათასობით უსახელო უფლისციხელს სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირვა.

დასტურად „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ მოვიხმოთ: „მოღვაწეობა – საზოგადო, საქვეყნო საქმისათვის გაწეული შრომა, მუშაობა, მოქმედება“. ქვეყნისთვის კი ნებისმიერ ჩვენგანს ძალუძს ნებისმიერ ადგილზე იმუშაკოს, ოღონდ, საამისო კეთილი ნება ჰქონდეს და თითო აგური შემატოს ქვეყნის აღმშენებლობის ბალავარს.

სწორედ ასეთთაგანია – თავჩარგულად, რუდუნებით რომ ზრდის ქვეყნისთვის ღვთისმოშიშ, ეროვნულ, მცოდნე ყმაწვილებს – **მამა მირიანის (სამხარაძის)** და **ფოფოდია ნანას** იდეით დაარსა და მას საქართველოს ეკლესია აფინანსებს მისი წინამძღვრის, **საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია II-ის** ლოცვა-კურთხევით. გიმნაზიაში 400-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს. სკოლა-პანსიონის 120 მოსწავლიდან – 50 მუსულმანია, ხოლო 70 – ქრისტიანი. პანსიონის მოსწავლეები გათავისუფლებული არიან ყოველგვარი სასკოლო და საცხოვრებელი ხარჯისაგან.

გიმნაზიელები ყოველ ახალი სასწავლო წელს საზეიმო ვითარებაში ხვდებიან. ტრადიციულად, **გიმნაზიის რექტორი, დეკანოზი მირიან სამხარაძე წმიდა თამარ მეფის** პარაკლისს იხდის; მოსწავლეებს, პედაგოგებს, მოსწავლეთა მშობლებს და თანამშრომლებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას ულოცავს და წარმატებულ წელს უსურვებს. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის თანხლებით აღიმართება სახელმწიფო და საეკლესიო დროშები.

საქართველოს წმიდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღიდან „შობილი“ წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია. აგერ, უკვე 15 წელიწადი რომ უზრდის ჭეშმარიტ მართლმადიდებელ რწმენაზე დადუღაბებულ ეროვნული შეგნებით აღსავსე შთამომავლობას სამშობლოს.

ეს სასწავლო დაწესებულება 2009 წელს, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრის, დეკანოზ **ლიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის** ლოცვა-კურთხევით იმართება. ფესტივალზე წარმოდგენილია შემოდგომის მრავალფეროვნება და საქართველოს ყველა კუთხისთვის დამახასიათებელი ნაირსახეობა. წლევანდელი შემოდგომის ფესტივალი **მისი უწმიდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის საიუბილეო თარიღებს** მიეძღვნა.

ფესტივალის პარტნიორები იყვნენ: **წმიდა თამარ მეფის სახელობის ხელოვნების სკოლა-პანსიონი, პროფესიული კოლეჯი და საერთაშორისო ასოციაცია "არსიანი".**

წლევანდელი ფესტივალი მნიშველოვანი სიახლით – გიმნაზიის ეზოში გამართული ვრცელი ღია საკონცერტი სცენით შეეგება ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს. კონცერტში მონაწილეობდნენ გიმნაზიისა და ხელოვნების სკოლა-პანსიონის (დირექტორი – **ნანა ანთაძე**) მოსწავლეები: საერთაშორისო ფესტივალ "მომავლის ვარსკვლავების" ლაურეატი ვაჟთა ხალხურ საკრავთა ანსამბლი, გოგონათა ქორეოგრაფიული ანსამბლი "არსიანი"; გაიმართა სამხატვრო სტუდიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა; პროფესიულმა სტუდენტებმა მოაწყეს ნამუშევრების საინტერესო გამოფენა.

გიმნაზია პროფესიონალი პედაგოგებითაა დაკომპლექტებული. მათი ხელმძღვანელობით, „ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში", ჩამოყალიბდა სხვადასხვა კლუბი თითქმის ყველა საგანში. ისინი აქტიური მონაწილეობით გამოირჩევიან შიდა სასკოლო და მის ფარგლებს მიღმა გამართულ ღონისძიებებში.

გიმნაზიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, ქალბატონი **ციცინო-ნანა ანთაძის** ღვაწლი გიმნაზიისა და მისი მოსწავლეების მიმართ შეუფასებელია. სწორედ მოსწავლეების სასიკეთოდ გაწეულ მის თავდაუზოგავ შრომასა და უანგარო სიყვარულს მიუძღვნა რეჟისორმა **სოფია ბაბლუანმა** ფილმი **„ფოფოდიას შვილები", რომლის პრემიერაც 2023 წლის 1 დეკემბერს პარიზის კინოთეატრ "LE CHAMPO" - ში** გაიმართა. ფილმი წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის და ხელოვნების სკოლა-პანსიონის ყოველდღიურობას ასახავს და მას 7 წელი ელოდა საზოგადოება.

ფილმის წარდგენას ესწრებოდნენ: **საფრანგეთის კინოცენტრის**

რეჟისორები, კინომცოდნეები, კრიტიკოსები, ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი დოსითეოსი (ბოგვერაძე), საქართველოს ელჩი საფრანგეთში ბატონი გოჩა ჯავახიშვილი, დეკანოზები: ზაქარია ფერაძე და დავით მაღლაკელიძე, ცნობილი კინორეჟისორები: თემურ და გელა ბაბლუანები. წარდგენას აღფრთოვანება და დადებითი შეფასებები მოჰყვა.

2024 წლის 9 თებერვალს ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერმა **მაყვალა ანთაძემ** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„წარმართულისა და ქრისტიანულის სინთეზი (რეცეფცია) გოდერძი ჩოხელის ბელეტრისტიკაში".**

უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, მას ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის დირექცია, პედაგოგები და თანამშრომლები ულოცავენ გიმნაზიის ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერს, ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვან მასწავლებელს მაყვალა (მარიამ) ანთაძეს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხს.

ქიმიის სასკოლო კვირეულის ფარგლებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კაბინეტში გაიმართა შეხვედრა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსთან, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთან **რამაზ გახოკიძესთან** და **რევაზ კლდიაშვილთან**.

ისტორიის მოყვარულთა კლუბის წევრები, პოეტ **თინათინ მღვდლიაშვილთან** ერთად ჩარგალში იმყოფებოდნენ, სადაც პატივი მიაგეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირის, ბოლშევიკების მიერ ვერაგულად მოკლული - **მიხა ხელაშვილის (დიაკონი მიქაელი)** ხსოვნას. ასევე, მოსწავლეები **გიმნაზიის რექტორ დეკანოზ მირიან სამხარაძესთან** ერთად იმყოფებოდნენ კოჯორში, გმირთა მემორიალთან; პატივი მიაგეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირებს. რექტორმა დაღუპული ქართველი მებრძოლების სულის მოსახსენებელი პანაშვიდი აღასრულა და მოსწავლეებს მოუთხრო 1921 წლის თებერვლის მოვლენების შესახებ, ქართველი ჯარისკაცებისა და იუნკრების გმირულ ბრძოლაზე საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

ფიზიკის მოყვარულთა კლუბის წევრები კი, შემეცნებითი ტურის ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემის სათაო ოფისს, სასწავლო ცენტრსა და ქვესადგურ **„ნავთლული 220-ს"** ესტუმრნენ. სსე-ის სათაო ოფისში უფროსკლასელებს პრეზენტაციები ჩაუტარდათ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის როლზე ქვეყნის ენერგეტიკის განვითარებასა და ზოგადი ენერგეტიკის, განახლებადი ენერგიის წარმოების განვითარების შესახებ.

გიმნაზიელები მუსიკასა და სპორტშიც წარმატებულნი არიან. მათ მრავალჯერ მოუტანეს გამარჯვება სკოლას.

მხოლოდ ის რადა ღირს, რომ გიმნაზიელები ქართულ საბრძოლო ხელოვნებაში თბილისში გაიმართულ შეჯიბრში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ. მათ სხვადასხვა სახეობაში, წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს.

გიმნაზიის ეზოში, მეორე კორპუსში მდებარე ხელოვნების სკოლა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერაა დაფუძნებული. ის განსაკუთრებით გამორჩეული და წარმატებულია საქართველოს სახელოვნებო-საგანმანათლებლო სივრცეში. მას უამრავ საერთაშორისო ფესტივალზე აქვს გამარჯვება და ჯილდო მოპოვებული.

ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში" ვკითხულობთ, სამშობლოში შენი ოჯახის სახე ხარ, მის საზღვრებს მიღმა კი – სამშობლოსიო. წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია სწორედ ისე ზრდის ყმაწვილებს, რომ ისინი შინაც და გარეთაც ოჯახის, გიმნაზიის, სამშობლოს სანიმუშო სახეები არიან.

კონსტანტინე გურგენიძე

115-ე ბაგა-ბაღის ბრწყინვალე პროექტი

ცეროდენების ჯადოსნური სავანე

„115-ე საბავშვო ბაგა-ბაღი პატარებისთვის ის ზღაპრული სამყაროა, სადაც ყოველი დილა ჯადოსნურად, ტკბილად და თბილად იწყება. ბავშვებს ბაღში მისვლა რომ უხარიათ და საიმედო ხელში არიან, მშობლებიც უსაზღვროდ ბედნიერები ვართ“ - ეს გახლავთ ამონარიდი ერთ-ერთი სამადლობელი ბარათიდან, რომელიც მშობელთა კომენტარების წიგნში ინახება. ასეთი ბარათი კი უამრავია..

„პატარების მყუდრო სავანე“-ასე უწოდებენ 115-ე საბავშვო ბაღს, რომელიც თითოეული აღსაზრდელისთვის საოცნებო სამყაროა. იგი ტრადიციული საბავშვო დაწესებულებაა და სკოლამდელი აღზრდის სფეროში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. დედაქალაქის ბაგა-ბაღების სააგენტოს დახმარებით და მისი ხელმძღვანელის ბატონ **კახა აბულაძის** ხელშეწყობით, რომელიც აგრძელებს ბატონი **გოგი ჩიქოვანის** დაწყებულ საქმიანობას და თანადგომას ბაგა-ბაღის მიმართ, საბავშვო დაწესებულება კიდევ უფრო დამშვენდა და ახალ სასწავლო წელს განახლებული ინფრასტრუქტურით შეხვდა. ბაღის შენობას სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. მოწესრიგდა ოთახები, საძინებლები, სველი წერტილები, სამზარეულო, და ა. შ. ასევე, განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელებისთვის შეიქმნა ადაპტირებული გარემო რესურს ოთახებით, კეთილმოწყობილი კაბინეტებით. ეზო მოწესრიგებულია და აღჭურვილია პანდუსებით, თანამედროვე ფანჩატურებითა თუ საქანელებით, მაგრამ სამომავლოდ დაგეგმილია ცვლილებებიც. ბაღმა 2023 წლის ბოლოს წარმატებით გაიარა აკრედიტაცია.

ბაგა-ბაღის დირექტორი **მერი ჭარელიშვილი** დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და ფასდაუდებელია მისი ღვაწლი სკოლამდელი აღზრდის სისტემაში. იგი, უკვე 43 წელია ამ სფეროშია და 35 წელია ხელმძღვანელის პოზიცია უკავია. 115-ე ბაგა-ბაღის დაარსების ისტორიაც ამ შესანიშნავი ქალბატონის სახელს უკავშირდება. მრავალი თაობის აღმზრდელს კარგიც ბევრი უნახავს და უსამართლო გულისწყრომაც უგემია... თუმცა, ბავშვების სიყვარულმა და მადლიერი აღზრდილების გულითადმა დამოკიდებულებამ, ყველა სიძნელე გადაატანინა და კვლავინდებურად შემართებით აგრძელებს თავის საყვარელ საქმიანობას. არის შესანიშნავი დედა და ბებია. საინტერესოა **მერი ჭარელიშვილის** ცხოვრების ისტორიაც, რომელსაც ჩვენ სხვა საგაზეთო

პიბლიკაციაში უფრო ვრცლად შევეხებით, ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ღვაწლმოსილი ქალბატონის მეუღლის - **ამბერკ ჭარელიშვილის** ინიციატივით, 1990-92 წლებში, დაბა ტაბახმელას ტერიტორიაზე, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი აშენდა. აღსანიშნავია, რომ ეკლესია აიგო თამარ მეფის ტაძრის ნანგრევებზე – საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ასევე, მამა **ბესარიონ მენაბდის** და ქტიტორის **გია ცხადაიას** დახმარებით. ახალაგებულ ეკლესიაში პირველებმა სწორედ ქალბატონმა მერიმ და მისმა მეუღლემ დაიწერეს ჯვარი.

115-ე ბაგა-ბაღში რაც კი რამ სასიკეთო გაკეთდა, სწორედ **მერი ჭარელიშვილის** დამსახურებაა... ბაღი უსაფრთხოა და ზედმიწევნით იცავენ ბავშვთა უფლებებსა და საერთაშორისო კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს. დირექტორს ყველა მნიშვნელოვან საკითხში მხარში უდგას მისი მოადგილე **ქეთევან ბუჩაშვილი**, რომელიც თავისი საქმის კარგი პროფესიონალია.

სააღმზრდელო პროცესი და სწავლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს. ბაღში სულ 17 ჯგუფი და 594 აღსაზრდელია, ხოლო **„სასკოლო მზაობის“** პროგრამას 220 ბავშვი ეუფლება. პროფესიონალი აღმზრდელების თავდაუზოგავი შრომის შედეგია ის, რომ მრავალმხრივად განვითარებულ პატარებს ზრდიან და პირველ რიგში, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულს ასწავლიან. ბაღში აქტივობები, ღია მეცადინეობები, ზეიმები და შემოქმედებითი ღონისძიებები ტარდება.

მერი ჭარელიშვილი: საგულისხმოა, რომ ჩვენთან დიდი ყურადღება ექცევა სანიტარული ნორმების დაცვას და კვებას. ბაღს ხარისხიანი პროდუქტებით ამარაგებს „ეკოლუქსი“. ბაღის ეზო ამ ეტაპზე, დამაკმაყოფილებელია, თუმცა, ჩასმულია კეთილმოწყობის გეგმაში, სადაც გათვალისწინებულია ახალი ატრაქციონების, მოსასვენებელი სკამების და სპორტული მოედნების განახლება. თქვენი გაზეთის საშუალებით თანადგომისთვის, მადლობას ვუცხადებ ბაგა-ბაღების სააგენტოს მთელ კოლექტივს და ბატონ **კახა აბულაძეს**, ასევე, სამგორის რაიონის გამგებელს **კახა სამხარაძეს**, მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს **კუკური როჭიკაშვილს**, ბატონ **რეზი სოხაძეს**. სწორედ, ამ ადამიანების დამსახურებაა ის, რომ ბაგა-ბაღი კიდევ უფრო დამშვენდა, დასუფთავდა, შეიცვალა ურნები და დაემატა მწვანე ნარგავები. ბაღი მუშაობს გაწერილი წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით, რომლის საბოლოო ანგარიშს სააგენტოსა და მშობლებს ვაბარებთ. გვაქვს მუდმივი ჩართულობა და შეხვედრები მშობლებთან. ჩვენი სააღმზრდელო დაწესებულება დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომლებმაც შესაბამისი ტრენინგები გაიარეს და აღსაზრდელებთან თანამედროვე სტანდარტებით მუშაობენ.

115-ე ბაგა-ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, ტექნიკური საშუალებებით, ლიტერატურით და სათამაშოებით. ბაღში საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის **ნინო ხსიტაშვილის** და **თეონა ტატულიშვილის** ხელმძღვანელობით, შესანიშნავად მიმდინარეობს ყოველდღიური აქტივობები, სადაც ჩართულია მულტიდისციპლინარული ჯგუფი, აღმზრდელები, ფსიქოლოგები - **ლია ხიდეშელი** და **მარიკა გურჩიანი**, ლოგოპედები - **ეკა შიხიაშვილი** და **თათია კანთელაშვილი**, სპეც. პედაგოგები: **თიკო მინდიაშვილი**, **აზა გაზდელიანი**, სოფიო სიყმაშვილი, **თამრიკო გორგაძე** და **ლია გარსევანიშვილი**. თვალსაჩინოა მათი შრომის შედეგი და მშობლებიც კმაყოფილებას გამოხატავენ. პატარების ჯანმრთელობის კონტროლი სისტემატურად მიმდინარეობს. თავიანთ მოვალეობას შესანიშნავად უძღვებიან სან. ჰიგიენის კოორდინატორიები: **დოდო კვირაიადა**, **ნათელა მთავარაშვილი** და **სოფო ხევიაშვილი**. დიდ შექებას იმსახურებენ საქმის მწარმოებელები - **მანია კედელაშვილი** და **ლალი მაღლაფერიძე**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორები - **ეკატერინე ნოზაძე** და **მაია ლაშხი.**

ქალბატონი მერი მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელების თავდადებულ შრომას. ესენი არიან: **ირმა სიორდია, მაია მშვენიერიძე, ნაირა ეჯიბაძე, მაკა წიქარიშვილი, ნონა ბეგოიძე, მაია გამეზარდაშვილი, თამილა ლომჯარია, ნანი ყიფშიძე, მარინა შანიძე, ლიანა გურულიშვილი, თამარ ღაღანიძე, ბელა გალუსტოვა, ლია ბობოხიძე, ირინა ჩიხლაძე, იზა პავლიაშვილი, შორენა მესხიშვილი, მაგული ტაბატაძე, თამარ მარხვაშვილი, სოფიო ბურძენიძე, ხათუნა მირიანაშვილი.** აქვე აღსანიშნავია აღმზრდელის თანაშემწეების საქმიანობა: **ნატალია საბაშვილი, მარინა თხელიძე, ნანა პატიაშვილი, ნინო ბუხნიკაშვილი, მაია ვეშაპური, იზა ღურნკაია, ლია ჩიბურდანიძე, ლალი მუმლაძე, შორენა ჩომახაშვილი, ნინო აფციაური, თეა ყარყარაშვილი, ცისანა ხუტაშვილი, ნონა გოგია, თამილა ლორია, ნინო ჭიღლაძე, ქეთევან ბოგვერაძე, ლიანა ქარქაშაძე, ეკატერინე დელიბაშვილი, ვარდო ობრაგიმოვი და იზა შენგელია, ციცი რთველაძე, ნინო ბუჩუკური, თეა კუსიანი, თეონა ქურთიაშვილი, ირმა იარალიშვილი, მაია მაჭარაშვილი, ნეკო მშვენიერიძე, ნინო აფციაური, ელი ჩიხლაძე, ქეთი გოხიძე, ნატა თოიძე, მარიამ მღებრიშვილი, შორენა ჩომახაშვილი, შორენა იარალიშვილი, ირმა იარალიშვილი, მარიამ აბუაშვილი, თიკო ლომსაძე, თიკო ჭუმბურიძე, ხათუნა მუჯირიშვილი, თამარ ძიძიკაშვილი, სოფიო გოცირიძე, ნინო ციმაკურიძე.**

შემოქმედებითი პროცესი შესანიშნავად მიმდინრეობს და ამ საკითხში დიდი წვლილი მიუძღვით ცეკვისა და მუსიკის პედაგოგებს - **კახაბერ ბარბაქაძეს**, **თინათინ ბუცხრიკიძეს, სოფო ჯავახიშვილს** და **ნინო ალენიკოვს**.

ბაგა-ბაღში აღსაზრდელების კვებას დიდი ყურადღება ექცევა და მათ მაღალკალორიულ საკვებს უმზადებენ - მზარეული **დოდო ვაჭრიშივილი** და მისი დამხმარეები: **მზევინარ მოისწრაფეშვილი, თამილა ელოშვილი** და **ხათუნა დათაშვილი**. თვალშისაცემია ტექნიკური პერსონალის თავდაუზოგავი შრომა - **რუსუდან ბერია, ჯული ჩერნიკოვი, მადონა ჯღარკავა, მზია ხუროშ-**

გაგრძელება მე-7 გვ.

„გაზაფხული შემოსულა, ლენ!“

მისიის სრული შეგრძნებით

ნათქვამია, ანალიტიკურ გონებას, წვეთ წყალზე დაკვირვებით, ამქვეყნად ზღვებისა და ოკეანეების წარმოსახვა ძალუძსო.

ცნობილია, რომ ყოველი სირთულე, დიდრონი მარტივისა და მცირესაგან იღებს სათავეს.

თუკი ასეა, მაშ, ერთ ღონისძიებაზე დაკვირვებითაც შეიძლება წარმოისახო, როგორი მუშაობაა გაშლილი ამ ღონისძიების გამმართავ დაწესებულებაში.

თბილისის 74-ე საჯარო

სკოლა, განათლების დარგის გამოცდილი მუშაკი, ქალბატონი **მარინე ჯარმელიშვილი** რომ უდგას სათავეში, ერთ-ერთი გამორჩეული სასწავლო დაწესებულებაა, სადაც სამშობლოსთვის მცოდნე, ზნეკეთილ თაობებს ზრდიან. პედაგოგებს გასიგრძეგანებული აქვთ რაოდენ დიდი მისია აკისრიათ და ამ მნიშვნელობის სრული შეგრძნებით, რუდუნებით ადგანან მომავალი თაობების აღზრდის რთულ, მაგრამ ერთობ საპატიო სავალს.

სკოლა რთული ორგანიზმია და მისი წარმატება ყოველი წახნაგის გამართული, ურთიერთშეთანხმებული და მიზანმიმართული ერთობლივი მუშაობით მიიღწევა.

სწორედ ასეა თბილისის 74-ე საჯარო სკოლაში, სადაც სულ ახლახან გაზაფხულის შემობრძანება ხალისით, გემოვნებითა და დიდი მონდომებით ერთობლივად აღნიშნეს ყმაწვილებმა, მათმა მშობლებმა და მასწავლებლებმა.

„თუკი დღეს ვინმე მომავლით ხარობს, სულ შენით არის, ქართველო ქალო...”

სსიპ ქალაქ თბილისის 74-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საყვარელ ქალბატონებს საოცარი სანახაობა აჩუქეს.

ქალაქ თბილისის 74-ე საჯარო სკოლა სასწავლო აქტივობებითა და თემატური ღონისძიებებითაა გაჯერებული, რომელთა მომზადებასა და განხორციელებაში მოსწავლეები და მათი მშობლები დიდი მონდომებითა და ხალისით ერთვებიან.

სკოლის დირექცია (დირექტორი - **მარინე ჯარმელიშვილი**, მოადგილე - **შორენა ჭიჭინაძე**) მუდმივად ხელს უწყობს შემოქმედებითი და მეცნიერებითი ღონისძიებების ჩატარებას, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მოტივაციის ამაღლებას.

მასწავლებლებმა (**მაია ნადირაშვილი**, **ნინო ებრალიძე**) მე-2ა და მე-2ბ კლასებში შექმნეს კეთილგანწყობილი გარემო და შეძლეს მოსწავლეებს მაქსიმალურად გამოევინათ შესაძლებლობები.

„გაზაფხული,ქალი და დედა... უკიდეგანო სიყვარულის დღე.”- იყო მოტივი იმისა, რომ სკოლაში მრავალფეროვანი, სადღესასწაულო და დაუვიწყარი ღონისძიება გამართულიყო.

მე-2ᵃ და მე-2ᵇ კლასების მოსწავლეები ცისარტყელას ფერებში შეხვდნენ გაზაფხულის შემობრძანებას,საზეიმოდ მორთულ კლასში სადღესასწაულო კოსტუმებში გამოწყობილებმა და ყვავილებით ხელდამშვენებულებმა საყვარელ ქალბატონებს, დედებს და პედაგოგებს, ლამაზი სანახაობა აჩუქეს.

პატარა მსახიობებმა მაყურებლები თავისი შემოქმედებითა და შესაძლებლობებით გააოცეს და დიდი მოწონება დაიმსახურეს. ეს ღონისძიება ცოდნის, ნიჭისა და უნარების წარმოჩენა-წახალისებას ემსახურებოდა. მასწავლებლებისა და მშობლების მიერ შექმნილმა დეკორაციებმა აღაფრთოვანა მაყურებელი და ღონისძიებამ ოვაციების ფონზე ჩაიარა.

ეს დღე ხალისიანი, საინტერესო, ემოციური და დაუვიწყარია პატარებისა და მათი მშობლებისათვის.

მარიამ ხატიაშვილი-გურგენიძე

115-ე ბაგა-ბაღის ბრწყინვალე პროექტი

მეექვსე გვერდიდან

ვილი, ინგა ქართველიშვილი , დალილა თურქიშვილი, ქრისტინა მაჭარაშვილი, ხათუნა ჭიკაიძე, მზია ნადირაძე, ნინო ჯავახია , ვაჟა ბასილაშვილი , მორის როსტიაშვილი , ელგუჯა ღონღაძე.

115-ე ბაგა-ბაღი სანიმუშოა უსაფრთხოების თვალსაზრისით და აღსაზრდელებისადმი განსაკუთრებული ფაქიზი დამოკიდებულებით. ძალიან ემოციური ის სამადლობელი ბარათები, რომლებიც მშობელთა კომენტარების წიგნში ინახება. გაგაცნობთ რამდენიმე ამონარიდს:

ნინო სიბაშვილი: „კმაყოფილი ვარ, რადგან ჩემი შვილი საიმედო, ყურადღებიან გარემოში ატარებს დღის უმეტეს ნაწილს.. უსაფრთხოდ არის, სწავლობს, ურთიერთობს, არ შია და არ სცივა... ჰიგიენის ნორმები ზედმიწევნით დაცულია. დიდი მადლობა ამ ყველაფრისთვის!”

ლიკა კვეზერელი: „დიდი მადლობა და უდიდესი პატივისცემა 115-ე ბაღის დირექტორს ქალბატონ **მერი ჭარელიშვილს** უდიდესი შრომისთვის და პატარებისადმი დედობრივი მზრუნველობისთვის, რომელიც ყოველდღიურად ალამაზებს აღსაზრდელების ცხოვრებას, უქმნის მათ სასიამოვნო გარემოს და დაუვიწყარს ხდის ბაღში გატარებულ დღეებს. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ჩემი შვილისთვის აქ გატარებული დღე სასიამოვნო სიახლეებითა დატვირთული!“

სოფიო ქიტოშვილი: „ბაღის მთლიან შემადგენლობას დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს შვილებზე ზრუნვისთვის. ისინი საიმედო ხელში არიან და ჩვენც უსაზღვროდ კმაყოფილები ვართ. პედაგოგების ერთობლივი, გუნდური მუშაობა დადებითად აისახება პატარების აღზრდაზე. მადლობა ასეთი გულისხმიერებისთვის!“

უაღრესად ემოციური იყო თითოეული წერილის გაცნობა და ასევე, ძალიან შთამბეჭდავი იყო ბაღის დირექტორთან **მერი ჭარელიშვილთან** ინტერვიუ, რომელიც გატაცებით საუბრობს ბაღის მიღწევებზე, გაკეთებულ საქმეებზე და აღსაზრდელებზე, რომლებიც საკუთარი შვილებივით უყვარს და ყველაფერს აკეთებს რომ პატარებს აქ გატარებული წლები სასიამოვნო მოგონებად გაჰყვეთ და სამუდამოდ დაამახსოვრდეთ.

მზია გოგოძე

თელეთის საჯარო სკოლაში

ღია გაკვეთილის ხიბლი

2024 წლის **5** მარტს თელეთის საჯარო სკოლის უფროსმა პედაგოგმა, **ირმა ასლამაზიშვილმა**, IIIბ კლასში ჩაატარა ღია გაკვეთილი ქართულ ენაში. თემა **„ორი ამხანაგი"** (ეზოპეს იგავი) იყო. მასწავლებელმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ გაკვეთილი დაგეგმა მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, დასაწყისშივე გააცნო თემა და მიზანი. უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვებმა საინტერესოდ იმსჯელეს, დაახასიათეს მათი მეგობრები, თვითონ როგორი მეგობრები არიან, როგორი უნდა იყოს ნამდვილი მეგობარი, გაავლეს პარალელები შესწავლილსა და წაკითხულ ნაწარმოებებთან, ანდაზებთან, ნანახ ფილმებთან. ისაუბრეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცნებაზე - ჟანრი, ძირითადი აქცენტი კი ჰქონდათ იგავზე. ამ მიმართულებით გამოავლინეს საკმაოდ ღრმა ცოდნა. კიდევ ერთი ახალი ანდაზა მიამატეს ანდაზების ყუთს. ერთად შექმნეს თემატური რესურსები, მოიყვანეს მაგალითები მეგობრობაზე პირადი ცხოვრებიდან. ბოლოს შეაფასეს გაკვეთილი: რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ, ნახეს ანიმაციური ფილმი **„ორი მეგობარი"** და უმღერეს მეგობრობას. გაკვეთილზე მრავლად იყო გამოყენებული თანამედროვე მეთოდები, ციფრული და თვალსაჩინო რესურსები, გათვალისწინებული იყო სწავლების უნივერსალური დიზაინი, პროცესში ჩართული იყო თითოეული მოსწავლე. მასწავლებელმა მოახერხა საინტერესოდ მიეწოდებინა ინფორმაცია ბავშვებისთვის, შინაარსის გარდა დიდი ყურადღება იყო დათმობილი სწავლების მეთოდზე, ის გახლდათ ფასილიტატორი და არა წამყვანი, რამაც მოსწავლეებს საშუალება მისცათ გამოევლინათ მათი ცოდნა, განევითარებინათ ისეთი უნარები როგორიცაა: ეფექტური კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, ადაპტაციის უნარი.

ირმა მასწავლებელმა ისიც აღნიშნა, რომ ყოველი აქტივობისა თუ ღონისძიების ჩატარების პროცესში დიდ დახმარებას უწევდნენ სკოლის დირექტორი - **ნინო მერაბიშვილი,** სასწავლო ნაწილის გამგე - **ლალი ჭინჭარაშვილი** და დაწყებითი კლასების კათედრის წევრები. აღნიშნულ გაკვეთილს ესწრებოდნენ ხარისხისა და მხარდაჭერის ჯგუფის წევრები. შეუძლებელია არ ითქვას, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიური ჩართულობის შესახებ, რაც ჯანსაღი კომუნიკაციის შედეგია.

საერთო მიზნისკენ რომ უნდა გაერთიანდეს სამი რგოლი - **მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი** - თელეთის სკოლის გუნდმა კარგად იცის, ამიტომაც ისინი ერთიანი ძალებით დაუღალავად იღვწიან მოსწავლეთა წარმატებისთვის!

„მოსწავლე არ არის ჭურჭელი, კი არ უნდა აივსოს, არამედ ჩირაღდანია, რომელიც უნდა აინთოს" - ირმა მასწავლებლის ნაპერწკლებით კი მოსწავლეთა "ჩირაღდნები" უშურველად ანათებენ.

ირმა მებონია

მოწინავე 216-ე ბაგა-ბაღი

მაღალ ხარისხზე ორიენტირებულნი

ახალი საგანმანათლებლო პროცესის დაწყებას კარგად მომზადებული შეხვდა თბილისის **216-ე** ბაგა-ბაღი (დირექტორი **ანუკი კიწმარიშვილი**). მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა, ჯგუფებისა და ეზოს ფიზიკური გარემო, სადაც პატარები მოძრავი თამაშებითა და ეზოს აქტივობებით ერთობიან; ჯგუფები ახალი საჭირო მასალითა და სათამაშოებით შეივსო. ბაგა-ბაღი ჩართულია ეფექტურ სააღმზრდელო პროცესში და აქცენტი სწორედ ამ პროცესისა და ინკლუზიური განათლების სწორად წარმართვაზე კეთდება. სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს ირგვლივ საოცარი სილამაზე იფრქვეოდა – გაფორმებული ეზო, ჯგუფები, დერეფნები, მხიარული თამაშები და სხვადასხვა გასართობები;

ადრეული განათლების კურიკულუმის მიხედვით, თამაშით სწავლების მიზანია ჯგუფის ერთობა, კვლევა, აღმოჩენა, რომელიც თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვთა განვითარების სფეროებს და ეფუძნება განათლების სახელმწიფო სტანდარტს. ყველა ამ სიახლის დანერგვასა და განვითარებაში დირექტორის მხარდამხარ, მუხლჩაუხრელად შრომობს მთელი კოლექტივი;

ბაღში ფუნქციონირებს **მულტიდისციპლინარული ჯგუფი**: ფსიქოლოგები, სპეც. პედაგოგები, ლოგოპედები, რომლებიც აღმზრდელებთან ერთად აფასებენ ჯგუფის მდგომარეობას, განიხილავენ, თუ რომელი სპეციალისტის დახმარება სჭირდება ამა თუ იმ აღსაზრდელსა და ჯგუფს, ადგენენ მოკლე და გრძელვადიან გეგმებს, რომლებსაც აცნობენ მშობლებს და იწყებენ ერთობლივ მუშაობას;

აღმზრდელები თითოეულ აღსაზრდელს ეხმარებიან საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში და რომ მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი პოტენციალი. გეგმის მიხედვით ხორციელდება აქტივობები მზაობის ჯგუფებში, რომელიც თამაშით სწავლების მეთოდიკით ბავშვთა სკოლისთვის მზადებას ითვალისწინებს.

ყველა ასაკობრივ ჯგუფში ყოველდღიურად ტარდება თემატური აქტივობები და ღონისძიებები, რომლებსაც მუსიკალურად აფორმებენ ცეკვისა და მუსიკის პედაგოგები;

უსაფრთხო და კომფორტულ გარემოში თვალშისაცემია სისუფთავე, მოწესრიგებული სამზარეულო უგემრიელესი კერძებით, რაც ტექნიკური პერსონალის დამსახურებაა;

თანამშრომლობა და გუნდურობა, სუფთა, მოწესრიგებული, ჰუმანური, მეგობრული და ბავშვზე ორიენტირებული უსაფრთხო გარემო, მშობელთა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მართვა — ქალბატონი ანუკი და ბაგა-ბაღის მთელი კოლექტივი პოზიტიური და უშუალო დამოკიდებულებით ქმნიან ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ გარემოს, სადაც ის სიხარულით დაეუფლება მისი განვითარებისთვის საჭირო ყველა მნიშვნელოვან პროცესს.

ბაგა-ბაღში, მშვიდად მუშაობისა და ბავშვთა აღზრდა-განათლების სწორად წარმართვისათვის, ყველა პირობაა შექმნილი.

ნათია გუგუნავა

ერთი ლექსის ნათება

ნანა ღვინაშვილი

მზის სხივივით გამოერევი

ამ თალხ ღრუბლებში გახვეული წუთისოფელი,
ჩუმ ძილ-ღვიძილში ზოგჯერ ისე მემარტივება,
რომ აღარ მაბნევს ის საგზალი უკვე რომელიც,
კაცთან ერთად ვერ დაიტიეს ძველმა ტივებმა...

და ნაწვიმარზე როგორც იცის ნამმა ბალახზე,
განთიადამდე ერთი ღამით დაბინავება,
ადამიანის ღრმა ფიქრებიც ასე თვლემს,
თითქოს, რეალობისკენ წასასვლელი გზა თუ აებნა...

თალხი ღრუბლების აჩრდილები ბრწყინავს ცის ქიმზე,
და დასტრიალებს დედამიწას ნისლის მორევი,
უამინდობის შიში თუმცა როგორ შეგბოჭავს,
თუ გულცივ ბრბოში მზის სხივივით გამოერევი...



ლიზი ბურჯანაძე

ოცნების მორევი

უკიდეგანო ზღვის ფერ მორევში,
გადაშვებული ოცნების „ფრესკა"...
აუხდენელი, შთანთქმული მისვე,
როგორც უმწეო თევზების ჭერა.

დრო გარდაქმნილი... ჰოი, საგრძნობლად,
გასაწყლებული ცხოვრების ფერად,
უხალისო და უაზრო დღენი,
მომრავლებულან ჩვენთვის სადევნად.

შორს ჰორიზონტზე ჩამოწვა ნისლი,
ნოსტალგიების სარკედ მოსილი,
შიგნით გიზგიზებს წარსულის ცეცხლი,
როგორც თონეში ხმელი წიფელი.

მეოცნებება მე ის წარსული,
სიყვარული, რომ იყო მართალი.
დღევანდელ დროში არაფერია,
ცრუ, მოღალატე კაცზე მთავარი.

შვიდ ქვაობანა, ქვიშის კექსები,
ციგის მაგივრად, მაგიდით რბენა,
ამოლანთხული ბავშვი ტალახში,
ნახშირობანა... თამაში ყველა.

დღეს კი ჩვენ რა გვაქვს და რით ვერთობით?
გაციებული ტექნიკის ცვენა,
ინსტაგრამი და ტიკ-ტოკის ტრენდი,
ან ერთმანეთის ლანძღვა და წყევლა.

ნეტავ ხელთ მეპყრას დროის მანქანა,
თავად შემეძლოს ცხოვრების მართვა,
ამოვირჩევდი პატარა ფაცხას
და მოციმციმე წარსულში ფეთქვას.

ტყის განაპირად, ბილიკის ბოლოს,
ნაკადული რომ მოსჩქეს მთებიდან,
მთების გულში არს ის ჩაქსოვილი,
ფაცხა ოცნების, ჩემთვის ყოილად.

რიჟრაჟ დილით რომ გაღვიძებს საამური გალობა,
ჩიტუნების ჭიკჭიკი და ნაკადულის მაყრობა.
კარს შეაღებს ნელი სიო, სალამს გეტყვის ბუნება,
ყვავილების სურნელი კი მალამოდ მოგედება.

უკეთესი მე სამყარო და ცხოვრება არ მინდა,
წვრილმანებში ვჰპოვე ჩემი უდიდესი ქონება.
უკვდავების წამალია წყნარი, მშვიდი ბუნება,
პაწაწინა სამოთხეა, ღმერთიც დამემოწმება.

როგორ ჩაყლაპა კომპიუტერმა ბეჭდური მედია



წიგნი კი არა, მთელი ბეჭდური მედია ჩაყლაპა.

კიდევ უარესი: ჩემ გვერდით მეტროს ვაგონში სოლიდური ასაკის ქალბატონი ზის და მობილურის ყურებით თვალებს ითხრის. ცალი თვალით გადავხედე: ეკრანზე თოჯინები თამაშობენ. განა მარტო ქალები? თითქმის ყველას ინდაურივით წაუგრძელებია კისერი და ასე ერთობიან. დაინტერესდი: არცერთს ხელში ვერც წიგნი დავლანდე, ვერც გაზეთი, ვერც ჟურნალი. ასეა ყველა ვაგონში, გზაში ასეა ყოველდღე. ადამიანი ლამის რობოტად იქცეს.

– რა არის ბიჭო ეს?! – მექანიკური! – მექანიკურს გიჩვენებ შენ! გამახსენდა ფილმი **„უდიპლომო სასიძო"**, სადაც ჩონჩხი-რობოტი მკლავებს იქნევდა.

ძვირფასო მკითხველო, არ იფიქროთ ამ წერილის სათაური წიგნის სახელწოდება იყოს. მას „გენიოსა გინესა" ჰქვია, რომლის ავტორია ნიჭიერი მწერალი და ჟურნალისტი – **ზურაბ ქობალია**. სათაურიც მიგვანიშნებს და ყველა მოთხრობას ლაიტმოტივად გასდევს ტკბილ-მწარე იუმორი. ის, რაზეც აკაკი წერდა: „რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეა".

წიგნში რვა მოთხრობა, უფრო სწორად, ნოველა შედის. მცირეაო? მცირეა ოქროც, მაგრამ რამდენ ტონა რკინას იწონის.

ავტორმა გაითვალისწინა, რომ უმრავლესობას ეზარება წიგნის კითხვა. ამიტომ თხრობის სტილი მარტივია, სადა, ყველა დონის მკითხველისთვის ადვილად მისაწვდომი, სურათოვანი.

მოთხრობები ერთმანეთზე უკეთესია, მძაფრსიუჟეტიანი, მაგრამ ჩემთვის და ჩვენი გაზეთის ყველა მუშაკისთვის – მეტად გულსატკენი. გენიოსას ამბავი: „გამომცემლობა სამშობლოს" შენობიდან, რომელსაც ჩვენს სამფლობელოდ მივიჩნევდით, ერთ დღეს უბოდიშოდ კინწისკვრით გამოგვაპანღურეს"...

აქედან დაიწყო ჩვენი წამება.

გაგონილს დანახული სჯობსო, მოხარშულ ხილს – ცოცხლად მოწყვეტილიო, სხვისგან მოსმენილს კი – თავად წაკითხულიო.

მართლაც ასეა. წაიკითხეთ ეს მოთხრობები და განიცადეთ მისგან მონიჭებული ესთეტიკური ტკბობა!

დაეკონტაქტეთ ავტორს: **599 343 727**

გაზეთის რედაქტორი

წიგნის თარო

აფხაზეთიდან დევნილის ნოსტალგია

აფხაზეთის თემაზე ამაზე უკეთესი წიგნი ჯერ არ დაწერილა. „ზღვა, რომელიც შორია" ყველა განზომილებით: პრობლემური, ისტორიული, გნებავთ მწერლურ-მხატვრული ღირებულებებით.

სიტყვაწარმოქმნადობით ავტორი ტოლს არ უდებს მიხეილ ჯავახიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძეს: **„ათარეშებული", „აილიწინისძეგლა", „გამოწიხლებული", „მიმფურთხებლობა", „მიდღესწრიგებს", „მიგაკვეთილებს"...** იმდენია, რომ ლექსიკონის შედგენაც შეიძლება.

ჩვენს წინაშეა უცნაურად გრძელსათაურიანი წიგნი მოკლე სახელწოდებით: „ფიქრები კვლავაც საბედისწერო მოვლენათა გარშემო". მისი ავტორია ომის მონაწილე, პედაგოგი, ისტორიკოსი და მწერალი სერგი საჯაია. იგი გახლავთ უაღრესად კეთილი, პირდაპირი, ტკბილმოუბარი პიროვნება, მეტად გამორჩეული.

ჩემთვისაც პატივსაცემია ბატონი სერგო, როგორც მისი თანამემამულისათვის. ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ წიგნი განმსჭვალულია საერთო მონატრებით, ამის კვალობაზე კი პატრიოტულ-ოპტიმისტური ნოსტალგიით.

ამიტომ, ჩემო სერგი, მოგმართავ ვაჟას სიტყვებით: „ეგ ჩვენი სევდა, ტირილი მალე შეგვცვლოდეს მღერაზედ!"

აფხაზეთის პრობლემებზე ბატონ სერგის სხვადასხვა დროს კიდევ გამოცემული აქვს 32 ნაწარმოები.

მკითხველს მოვუწოდებ: გულდასმით წაიკითხეთ ეს წიგნი!

ავტორთან კავშირი: 599 11 75 93

ბორის კინდღელი

ბორის მიშველაძე – 85

ღვაწლი პედაგოგისა და ჟურნალისტისა

აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგი და ჟურნალისტი **ბორის ევგენის ძე მიშველაძე** 85 წლისაა.

თითქმის წვრილმანია, მაგრამ მაინც საინტერესოა, რომ მის ბიოგრაფიას ციფრების ბედნიერი თანხვედრაც ამშვენებს: 50 წელი ჟურნალით ხელში შედიოდა კლასში და მოსწავლე-ახალგაზრდობას წვრთნიდა „ენის, მამულის, სარწმუნოების" სიყვარულით. 40 წელი გაზეთ **„სახალხო განათლებიდან"** არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი, რიგითი „ჯარისკაცობიდან გენერლობამდე" მას ემსახურა და დღესაც აქ მოღვაწეობს. გაზეთის წინამდებარე ნომრის ბოლო ნომრის ბოლო ორი ციფრი, ასევე გამოცემის თვე და რიცხვი მის საიუბილეო თარიღს ზუსტად ემთხვევა. ზოგჯერ თავად იტყვის ხუმრობით: „საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე ოთხი დღით უფროსი ვარო".

პედაგოგიურ და ჟურნალისტურ ასპარეზზე თანაბარი გატაცებითა და ნაყოფიერებით ირჯებოდა და ახლაც ასეა. თუ შეეკითხები, რომელი გადაწონისო, პრიმატის პინა პედაგოგობის მხარეს გადაიხრება და იქვე **იოსებ გრიშაშვილის** სიტყვებს მოიშველიებს: **„მასწავლებელი – კლასის მშვენება, ალბათ აღნიშნავს მემატიანე, დიადი საქმის ასაშენებლად პატარა კენჭი მეც მივიტანე"**-ო. მართლაც, ამ სფეროში შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია – მისი აღზრდილები საზოგადოების თვალსაჩინო წევრები, გამოჩენილი მასწავლებლები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები არიან.

ოთხმოცი წლის გადასახედიდან სიამაყით შეუძლია, თვალი გადააავლოს წარსულს. აი, ფრაგმენტები მისი ავტობიოგრაფიული წიგნიდან **„გადავიწყებას რაც გამოვტაცე"** – „დაამთავრა ოჩამჩირის რაიონის ახალი კინდღის საშუალო სკოლა, შემდეგ – ქუთაისის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. მშობლიურ სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, შემდეგ მუშაობდა პედაგოგად თბილისის 139-ე და მე-15 სკოლებში. პარალელურად გაზეთ **„სახალხო განათლების"** მუშაკია. დაიცვა სამეცნიერო ხარისხი პედაგოგიკაში – იყო დედაუნივერსიტეტის ქართული ენა-ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა კათედრის დოცენტი, შემდეგ – პროფესორი, სკოლებში ხელმძღვანელობდა ამ უნივერსიტეტის სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას. გამოცემული აქვს წიგნები: **„გამონათება წარსულისა"**, **„კინდღი დაუვიწყარია"**, სწავლების მეთოდიკაში – **„გრიგოლ ხანძთელი მოსწავლეებთან"**, **„ჟურნალისტის პედაგოგიური წერილები"** და სხვა, სწავლა-აღზრდის თემაზე ათასობით წერილის, ნარკვევის, რეპორტაჟის ავტორია.

ძალიან მოსწონს რაჭველების ანდაზა: **„პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო"**. შეუპოვრად იბრძოდა და იბრძვის მასწავლებელთა ავტორიტეტის, პროფესიული მოტივაციის ასამაღლებლად. დაჟინებით მოითხოვს პედაგოგის მატერიალურ-მორალური სტიმულირების, უსამართლოდ გაუქმებული ფორმების, **„დამსახურებული"** და **„სახალხო მასწავლებლის"** წოდების აღდგენას. ღრმად არის დარწმუნებული: გენიოსი მინისტრებიც რომ ჩამოცვივდნენ ციდან, მასწავლებლის დაფასების, მათზე ზრუნვის, გამხნევების გარეშე არაფერი გამოვა. ყველა რეფორმა ჩავარდება.

იუბილარი კარგა ხანია გაზეთ **„სახალხო განათლება+"**-ის მთავარი რედაქტორია და წარმატებით უძღვება განათლების მუშაკთა ამ მემატიანეს. შარშან, დეკემბერში გაზეთს **90 წლის იუბილე** გადავუხადეთ. რედაქტორი, ყველა თანამშრომელთან ერთად ძალისხმევას არ იშურებს, რომ გაზეთს დაუბრუნდეს ძველი ღირსება და დიდება. მიუხედავად ბევრი სირთულისა და ხელის შეშლისა, ამ მიზნით ბევრი გაკეთდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში განათლების სისტემის ეს მატიანე თავისი სახის (პროფილის) დაკარგვის, უფრო მეტიც, გაქრობის წინაშე დადგა. მაშინდელმა რედაქტორმა იგი ცეკას ნომენკლატურას დაუქვემდებარა: მარტო მენშევიკური მთავრობის მეთაურთა საქმიანობა შუქდებოდა. ამ ნეგატიურ მოვლენას დროული შეფასება მისცა ჩვენმა კოლეგამ, აკადემიკოსმა **ზურაბ ცუცქირიძემ,** როცა მაშინ, ტელევიზიით გამოსვლისას **„სახალხო განათლებას"** მხოლოდ ისტორიკოსების გაზეთი უწოდა. მას შემდეგ თავს ბევრი დავიდარაბა გადაგვხდა. დღესაც ცუდი დრო გვიდგას. არც მთავრობა, არც სამინისტრო, არც საზოგადოება ყურადღებას არ გვაქცევს, მაგრამ არ დავიჩოქეთ. რედაქციის თანამშრომლები, ერთგული მეგობრები, კოლეგები მხარში გვიდგანან და დიდი ჭაპანწყვეტით ვცდილობთ, არ ჩავაქროთ **იაკობ გოგებაშვილის კერა.** სიმწრით წამოცდება ხოლმე იუბილარს ილიას სიტყვები **„კარგად თუ ავად ჩვენ მას ვინახავთ და მის სიკვდილით არ გაგახარებთ!"**.

ტკბილმოუბარი და მეგობრულია ჩვენი იუბილარი. მისთვის უცხოა „მუნდირის გაფრთხილების" მიზნით გაჯიუტება. უყვარს კომპრომისები, ოღონდ – არა პრინციპების დათმობის ხარჯზე. არ თვლის, რომ „ბოდიშის მოხდა" თავის დამცირებას ნიშნავს, პირიქით, იგი ღირსების საქმედ მიაჩნია. თუ საჭიროებამ მოითხოვა, ცამდე მართალიც რომ იყოს, ოპონენტს იქით მოუხდის ბოდიშს, ოღონდ საქმე არ დაზიანდეს.

როგორც ყოველ ჩვენგანს, ბევრ უსამართლობაზე ტკივა გული. ყველა უბედურებას ვინ ჩამოთვლის, მაგრამ აი, ერთი მათგანი: ალბათ, ზემოთ შეამჩნიეთ, რომ იუბილარი მამის სახელით არის ნახსენები. ეს მისი კატეგორიული სურვილია, რომ მამის სახელი აღდგეს!

რქანი ბებრი ხარისა ჯერ ისევ ეწევიანო, – იმეორებს ხშირად.

ამაგდარ პედაგოგსა და ჟურნალისტს **ბორის ევგენის ძე მიშველაძეს** ვულოცავთ სახელოვან იუბილეს, ვუსურვებთ: დიდხანს იყოს ჯანმრთელი, მხნე, ქომაგი და მრჩეველი მოსწავლე ახალგაზრდობისა, განათლების ყველა მუშაკისა, მასწავლებელთა ამ გაზეთისა!

კოლეგებისა და მეგობრების სახელით: **ზურაბ ქობალია, ნათია გურგენიძე, კონსტანტინე, გურგენიძე, ეკა მამუკაშვილი, მზია გოგოძე, ირმა მებონია, თამარ ანდრიაძე, ზურაბ ცუცქირიძე, პავლე მურადაშვილი** და სხვები.

გაზეთ **„სახალხო განათლება+"**-ის რედაქცია.

თბილისის 129-ე საჯარო სკოლელები

ჰარმონიულად მოღვაწეობენ

მართვის გამოცდილება **გიორგი ლიჩელმა** 94-ე სკოლაში შეიძინა. დააწინაურეს და მესამე წელია 129-ე სკოლას წარმატებით ხელმძღვანელობს. ხშირად ვიმეორებ ერთი ბრძენკაცის ფორმულას: „არასოდეს თქვათ უარი მცირედზე, რადგანაც მცირედისაგან შედგება დიდი" და „კადრები წყვეტენ ყველაფერს".

ბედნიერია დირექტორი, რომელსაც ძლიერი პედაგოგები და ადმინისტრაცია ჰყავს. დიახ, ასეთი კადრები დაუხვდნენ ბატონ გიორგის, დაუხვდნენ და მალე გაუგეს ერთმანეთს, შეეწყვნენ და შეხმატკბილებულად მიდიან სიახლეების გზაზე.

მხარში ერთგულად უდგას დირექტორს ნიჭიერი, შემოქმედი მოადგილე, მათემატიკის ბრწყინვალე მასწავლებელი **ეკა ხიჯაკაძე.** ყველაფერ ამაზე დირექტორმა ინფორმაცია მოგვაწოდა.

პირველ სემესტრს მეორე უთუოდ აჯობებს

სასწავლო პროცესის ეფექტური უზრუნველყოფისათვის სკოლაში დასაქმებულია 98 თანამშრომელი - დირექცია - 3, ადმინისტრაცია - 12, ფსიქოლოგი - 1, ექიმი - 1, სპეციალური მასწავლებელი - 4, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი - 11, დარაჯი - 3, დამლაგებელი - 5 და 63 პედაგოგი.

პედაგოგები მუდმივად ზრუნავენ კარიერულ წინსვლაზე, რისთვისაც ჩართულნი არიან სხვადასხვა ტრენინგებსა და აქტივობებში.

სკოლისთვის პრიორიტეტულია ისეთი მიმართულება, როგორიცაა ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მიმართულებაზე ზრუნვა ჩვენი სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა.

სკოლის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით, ჩვენი მოსწავლეები ჩართულნი არიან მრავალმხრივ აქტივობებში, როგორიცაა ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით. სამინისტროს მხარდაჭერით სასკოლო ინფრასტრუქტურა საკმაოდ განვითარდა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლაში სხვადასხვა პროექტისა და ღონისძიების განხორციელებას.

განხორციელდა სასკოლო პროექტი „მე ვარ ტოლერანტი, მაშასადამე მე ვარ კულტურული მრავალფეროვნების ნაწილი", სადაც არამარტო ყველა საფეხური მოსწავლე-მასწავლებლები, არამედ სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი. პროექტის ფარგლებში სკოლაში შეიქმნა სამოქალაქო განათლების კლუბი **„თემიდა"**.

მოსწავლეებს განსაკუთრებით მოსწონთ გასვლითი გაკვეთილები, ექსკურსიები სხვადასხვა ღირსშესანიშნავ ადგილებსა და მუზეუმებში.

სპორტული მიმართულებით მრავალი წარმატებული მოსწავლეც გვყავს. სკოლა აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში, მაგალითად, **„ფრენბურთის სასკოლო ლიგა 2024"**.

მიგვაჩნია, რომ მოსწავლეთათვის მოტივაციის ამაღლება და სწავლისადმი წყურვილის გაღვივება, მშობელთა ჩართულობის გაზრდა, სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ჩვენ კი აღნიშნულ საკითხზე აქტიურ მუშაობას ვაგრძელებთ.

დირექტორი
გიორგი ლიჩელი,

კიდევ ახალი წარმატებები – თქვენ, 129-ე სკოლელებო!

ბორის მიშველაძე
პედაგოგიკის დოქტორი

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს

მთელი გულითა და სულით გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას და ევროპის ჩემპიონატზე გასვლას.

ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა სპორტის ყველა სახეობა და განსაკუთრებით ფეხბურთი. ხშირად ვუსმენდი ხოლმე რადიო რეპორტაჟებს და ერთ-ერთ მეზობელთან სოფელში **ალექსანდრე (ალეკო) რევაზის ძე ტატიშვილთან** სახლში ტელევიზორში ვუყურებდი ხოლმე. ეს ოჯახი ხშირად მპატიჟებდა ფეხბურთის საყურებლად, რაც ძალიან მიხაროდა. დიდი მადლობა ამ ოჯახს.

ვისურვებდი, მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გამხდარიყოს!.. ყველას გვეზეიმოს და გაგვეხაროს ამ უდიდესი წარმატებით.

ქვემოთ გთავაზობთ, წარსულში დედაჩემის მიერ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებისადმი მიძღვნილ ლექსს.

მწერალი **იოვანე აბულაშვილი-ბებაბუშვილი**

გილოცავთ!
საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზეა!

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებს

ქართველები მრავალჯერ გაახარეთ მოგებით,
შორს გაუთქვით, ასახელეთ ყველგან მისი სახელი,
ქართველ გულშემატკივრებს მოუტანეთ დიდება,
თქვენი ქება, გულწრფელი, არასდროს მომწყინდება.

დარტყმა კარში, ისევ „გოლის“ და „დინამოს ძახილი“,
გულს ესობა მოქიშპეებს, ვით ნალესი მახვილი,
ხშირად უტევთ საჯარიმოს, მცირე არის მანძილი
და მეკარის მოქმედებაც აღარ არის მარტივი.

მოედანზე გამარჯვებულ მაყურებლის
იწყება და იმართება დავლური თუ ფერხული!
რომ მსოფლიოს კარგად ეცნოს
ეს ქართული ფეხბურთი!

ნათელა წერეთელი,
მწერალი და ფილოლოგიის დოქტორი

ებრუს მეთოდით

ეკა ქებურიას ნახატების გამოფენა

15 მარტს კოლეჯ „ბარაკონში“ გაიმართა კოლეჯის პროფესიული მასწავლებლის, მხატვარ-დიზაინერის, ებრუ არტის-ის სპეციალისტის, **ეკა ქებურიას** ნახატების გამოფენა. მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ მთელი კვირის განმავლობაში ეხილათ ებრუს მეთოდით, სპეციალურად დამზადებული საღებავებით კონცენტრირებული წყლით ქაღალდზე, თიხასა და აბრეშუმზე გადატანილი დეკორატიული ხელოვნება.

ნამუშევრები ასობით დამთვალიერებელმა ნახა და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ემოციებს ვერ მალავდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ებრუს ხელოვნება არა მხოლოდ შთამბეჭდავი, ორიგინალური და სანახაობრივია, ამავე დროს ფსიქოთერაპიული ეფექტიც გააჩნია.

ნინო ფრუიძე

ასრულდა

ასრულდა, შევაღეთ
კარი ჩვენ ევროპის,
ქართველნო, ოდითგან
ვამაყობ მე თქვენით,
ოქროს ასოებით
ჩაწერეთ კიარა..
თქვენ, ეს ისტორია
ხელახლა შექმენით.

ზეიმობს ქართველი,
ზეცაა კრიალა,
ბედნიერ ღიმილებს
ვკრიბავ და ვინახავ,
ერთობამ შეგვიკრა
რამდენი იარა,
საიდან მოდიხარ,
ვინ იყავ, ვინა ხარ.

მეყოფა საგზლად ან
შიმშილად ავიტან
სიხარულს ქართველთა
ცრემლებით ანაცერს,
რწმენა და სიმშვიდე
მოგვმადლე უფალო,
ერთობა, ძმობაა
მტერსაც რომ ამარცხებს.

ასრულდა, შევაღეთ
კარი ჩვენ ევროპის,
ქართველნო ოდითგან
ვამაყობ მე თქვენით,
ოქროს ასოებით
ჩაწერეთ კიარა,
თქვენ ეს ისტორია
ხელახლა შექმენით.

ზურაბ მამულაშვილი (ზემოსკრელი)



საქირულ-იუმორისტული სტროფები

არც პარლამენტის წევრია,
არც რომელიმე პარტიის,
სამაგიეროდ მეფეა –
საქართველოში მაფიის.

* * *

დღეს ყველა წერს და დღეს ყველა
ხატავს,
ფასი დაედო კალამს და ქაღალდს,
თავადაც იცის, ნიჭი რომ არ აქვს,
მაინც არ აგდებს ხელიდან კალამს.

* * *

დღეს თურმე მოსწონთ პორნოგრაფია,
მუშა არის თუ გენით გრაფია,
რადგან არ იცის თავისი ერის
ისტორია და გეოგრაფია.

* * *

რით მოიპოვეს სკამები,
რა წვალებით და რა შრომით?..
ნეტავი, სადმე მანახა
მინისტრის ერთი „ნაშრომი“.

* * *

განათლება – ნული,
სამედიცინო მომსახურება – ნული,
ეკონომიკა – ნული,
გამრავლება – ნული,
შემოსავალი – ნული.
სულ არის ხუთი ნული,
საოცარია, როგორ ძლებს
ჩვენი პატარა გული!

ერთი ლექსი

თენგიზ პაპაშვილი

აღარ დამიტოვე სხვა გზა

როგორ ამერია თავგზა,
სტრიქონს შევალიე წლები,
დღემდე დამატარებ გზა-გზა,
ტრფობის ნაღვერდალზე ვდნები.

ისევ უშენობას ვჩივი,
გულიც მარტოობას ჩემობს,
ბედი ამიმხედრდა იცი?
შარბათს ვერ გავუგე გემო.

ახლა მინავლული წლების
ტკივილს ვიხსენებ და ვგოდებ,
ისევ უშენობა ზაფრავს
სულის ძგიდესა და კბოდეს.

უძოს ეპარება ბინდი,
ღამე ყორნისფერი მოდის,
ისევ მარტოობით ვუძლებ
ლოდინს, უსაშველო ლოდინს.

როგორ ამირიე თავგზა,
ტანზე შემომაცვდა წლები,
აღარ დამიტოვე სხვა გზა,
ლექსად სანთელივით ვდნები...

ცეროდენებისათვის

ყიდან მოწყვეტილი ზღაპარი

სხვა შემოქმედებით მონაგართან ერთად **ნარო კოლხელი (ნარიმან იაშაღაშვილი)** ბლიც-წერაში გამარჯვებული მწერალია. მკაცრი ჟიურის თანდასწრებით რეკორდულად მცირე დროში (საათები) დაწერილი აქვს ზღაპრები, მოთხრობები, 110 გვერდიანი რომანი „წვიმის ცრემლები“. ასევე მცირე დროში დაწერილთა რიგშია ზღაპარი **„თოვლიანი თოლია“.** „...ფანჯრიდან მოწყენილი პატარა გოგონა იყურებოდა. გოგონა მამიკოს ელოდებოდა. მამიკო კი არ მოდიოდა იმიტომ, რომ ომში იყო წასული...“ დანარჩენი თქვენ წაუკითხეთ თქვენს ცეროდენებს. მერწმუნეთ, უთუოდ მოგებული დარჩებით.

ბაგა-ბაღის დირექტორებო, მშობლებო, გულწრფელად გირჩევთ, შეიძინოთ ზღაპარი „თოვლიანი თოლია“. დაუკავშირდით ავტორს: 597 93 65 15

ამ ხნის კაცი მომხიბლა ამ ზღაპარმა და ბავშვებს რას უზამს?!

გაზეთის რედაქტორი

იუბილარი

ნოდარ კემულარია — 85

აფხაზეთის კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს **ნოდარ კემულარიას** 85 წლის იუბილეს ულოცავენ ოჩამჩირლების კავშირი „ერთობა“, თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელები: **რევაზ ძოძუაშვილი, ზორბეგ ებრალიძე, მანუჩარ მაჩაიძე, გრიგოლ ცაავა,** ახლო ნათესავები, მეგობრები და სხვები.

ოჩამჩირლებისთვის ნოდარი არის მეგობარი, ძმა და ძვირფასი ადამიანი. ძალიან სასიხარულოა, რომ საფრანგეთიდან ჩამოფრინდნენ: ძმა დილარი და შვილი – ირაკლი. ასე უნდა გიყვარდეს მშობლები და ნათესავები.

მთავარი მილოცვის ზარი გაისმა მოსკოვიდან და იუბილარს მიულოცა საყოველთაოდ ცნობილმა და სახელგანთქმულმა ქირურგმა, **ლეო ბოკერიამ** (ნოდარი და ლეო ერთად სწავლობდნენ ოჩამჩირის რკინიგზის მე-15 სკოლაში).

ყოველი ოჩამჩირელი ამაყობს იმით, რომ **ლეო ბოკერია** ისეთივე ოჩამჩირელი დარჩა, როგორიც იგი იყო ოჩამჩირეში.

ამ საიუბილეო დღეს, 2024 წლის 17 თებერვალს, ოჩამჩირის კავშირის მუზეუმ „ერთობაში“ ჩატარდა ნოდარ კემულარიას სახელობის საპატიო ტურნირი ნარდში. მასში მონაწილეობდნენ ექიმები, პედაგოგები, იურისტები, ომის მონაწილენი, ვეტერანი ფეხბურთელები.

ტურნირი ჩატარდა ოლიმპიური სისტემით. მასში სულ მონაწილეობდა 18 მოთამაშე. ექვსი საათის ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი მოიპოვა **დილარ კემულარიამ**, მეორე ადგილი ერგო **ნოდარ კობახიძეს**, მესამე ადგილი – გივი ჩხეტიას. ყველა პრიზიორმა მიიღო მედლები, დიპლომები და სპეც. პრიზები.

ტურნირის მთავარი მსაჯი გახლდათ **თენგიზ ნორაკიძე,** მსაჯი-მდივანი – **გივი ჩხეტია**, მსაჯი-კომისარი – **ვახტანგ გოგუა**.

ნოდარ კემულარიას სახელობის ტურნირში მონაწილეობდნენ:

დავით ძალამაძე, გივი ჩხეტია, დილარ კემულარია, ირაკლი კემულარია, ოთარ წურწუმია, თამაზ ჩხვირკია, თემურ ჩიქობავა, რაულ ჯანაშია, ნოდარ კობახიძე, ომარ ჟვანია, ლევან ლაგვილავა, თენგიზ ნორაკიძე (უმცრ.), ვახტანგ გოგუა, თამაზ კალანდია, ემზარ თუნგია, ანზორ გერგედავა, ანატოლი ჯობავა და ზამირ მიქაია.

ტურნირის საზეიმო განწყობილება იუბილარის პატივსაცემად დაგვირგვინდა რესტორან **„ოჩამჩირეში“**

თენგიზ ნორაკიძე,
სპორტის ოსტატი ფეხბურთში.

მადლიერება

რომან ფიფია

მადლობა თბილისის „დინამოს“ კლუბის პრეზიდენტს ბატონ რომან ფიფიას

ოჩამჩირის კავშირი **„ერთობა“**, ომის მონაწილეები, ვეტერანი ფეხბურთელები, ექიმები, პედაგოგები მადლობას უხდიან თბილისის „დინამოს“ კლუბის პრეზიდენტს, ბატონ **რომან ფიფიას.**

ჩვენ ოჩამჩირლები, ფეხბურთის ზეიმში რომ ვართ ჩართული, თქვენი დამსახურებაა, ბატონო რომან. კარგად ვიცით, რამდენი შრომა ჩადო კლუბმა ვარსკვლავების გაზრდაში. აკადემია მაღალ დონეზე რომ მუშაობს, ეს სახეზეა. მადლობა ყველას, ვინც თქვენს გვერდითაა **ვიტალი გულორდავასთან** ერთად აკადემიაში.

ლამაზი ფეხბურთის შორიდან ყურება კარგია, მაგრამ მას ნიჭთან ერთად შრომა, შრომა და შრომა სჭირდება.

„დინამო-არენაზე“ ვინც შემოდის, ხედავს გაკრიალებულ სტადიონს, ყველაფერი რიგზეა. მე, როგორც ვეტერან ფეხბურთელს, მიხარია, რობ ვუყურებ, თუ როგორ უვლიან მოედანს. დიდი მადლობა ბატონ **რომან ფიფიას!**

ოჩამჩირის კავშირ **„ერთობას“** სახელით,
თენგიზ ნორაკიძე

ოჩამჩირელთა კავშირი „ერთობა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ თვეში დაბადებულებს და უსურვებს მათ წარმატებებსა და წინსვლას ცხოვრებაში, პირადსა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში:

გივი ჩხეტია — 77
ინჟინერ-მშენებელი

ანზორ გერგედავა — 79
ინჟინერი

დავით ძალამიძე
იურისტი

ლიორენცო შარანგია — 90
მელიორაციის დამსახურებული მუშაკი, პროფესორი

იური დოჩია — 77
ექიმი

თენგიზ ნორაკიძე (უმცრ.) — 44
ინჟინერ-მშენებელი

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N2 (4618)
31 მარტი / 2024 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან
ISSN 1987-9113